„პროლეტარებო, შეგვლა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხელმოწერის 41-ე წელი
№ 61 (11974) | სამშაბათი, 14 მარტი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობას — ღირსეული შეხვედრა

მეშაობა დაამთავრა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შედეგები და ამ ისტორიული გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველსაყოფის ღონისძიებანი. პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ახალი დიდი აზვირთება გამოიწვია საქართველოს ფაბრიკებსა და ქარხნებში, სატრანსპორტებსა და მაღაროებში, მშენებლობებზე და ტრანსპორტზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მთელ საქართველოს მშრომელებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ იმის შესახებ, რომ 27 სექტემბერს მოწვეულია საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობა. ყრილობაზე შეაჯამებენ იმ უდიდესი მუშაობის შედეგებს, რომელიც წარუძღვა რესპუბლიკის გასწია პარტიის XXI და XXII ყრილობების ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ყრილობა განიხილავს სკკპ პროგრამისა და სკკპ წესდების პროექტს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე ლენინურად, გაბედულად ამხილა ხელმძღვანელობაში და განსაზღვრა პარტიული ორგანიზაციების, საქართველოს შრომელების გადაუდებელი ამოცანები სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის პრძოლაში.

რესპუბლიკის მშრომელები, რომლებიც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, პარტიის ლენინური, XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულის უზრუნველსაყოფად ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ნაბიჯებით წინსვლის მაჩვენებელია. გამოთქმული კრიტიკა კარგად უნდა გაითვალისწინონ იმ რაიონების პარტიულმა ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა, რომლებიც თავიანთი უხერხო მუშაობით უკან სწევენ რესპუბლიკის წარმატებებს, ამთავითვე გულდასმით შეისწავლონ ჩამორჩენის მიზეზები, დასახონ კონკრეტული სამოქმედო პროგრამა, თავდადებული შრომით გაუთანაბრდნენ მოწინავეებს და ამით აქტიური მონაწილეობა მიიღონ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელების საქმეში.

პარტიის XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის და იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებების წარმატებით განხორციელებისათვის კონკრეტული ვალდებულებები ნაკისრია, ახლა მთავარია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით პარტიულმა ორგანიზაციებმა და სამეურნეო ხელმძღვანელებმა გამონახონ დამატებითი რეზერვები და ახალი შრომითი გამარჯვებებით შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობას.

საწარმოებში, შახტებსა და მაღაროებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სიმძიმის ცენტრი უნდა გადავიტანოთ ნაკისრ ვალდებულებათა შესწავლას, მათ განზოგადებასა და ფართოდ დანერგვას.

„სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავენი, — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე ნ. ს. ხრუშჩოვმა, — ეს, ამხანაგებო, ჩვენი შუაქრებია, რომლებიც გვიჩვენებენ გზას სოფლის მეურნეობის სანიმუშო ბაძლოლისაკენ, მაღალი ნაყოფიერებისაკენ... ჩვენ ეს შუაქრები სოფლის მეურნეობის ყველა დარგში უნდა გვყავდეს. ვოდით ავიღოთ გეზი ამ შუაქრებზე, ავიღოთ სწორი კურსი“. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ეს მითითება ეხება არა მარტო სოფლის მეურნეობას, არამედ სახალხო მეურნეობის ყველა დარგს. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა საყოველთაო-სახალხო კუთვნილებად გახადონ მოწინავეთა გამოცდილება და ამით დაიჩქარონ ყველა სახის პროდუქციის წარმოება, რათა მოკლე დროში ჩვენს ქვეყანაში შექმნათ როგორც სამრეწველო, ისე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვე.

სადაც პარტიული ორგანიზაციები ყოველდღიურად მუშაობენ ადამიანებთან, კონკრეტულად ხელმძღვანელობენ შეჯიბრებას, ზრუნავენ მოწინავეთა გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევათა განზოგადებისა და გავრცელებისათვის, იქ სწრაფად დიდდება სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება. სწორედ ამას მოწმობს ბევრი მოწინავე რაიონის მაგალითი, რომელთა გამოცდილების შესახებ ილაპარაკეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე.

სოფლის მეურნეობის განვითარების ნაკლოვანებათა მწვავე კრიტიკა, რომელიც პლენუმზე გაიშალა, ჩვენი ძალის, გაბედული ნაბიჯებით წინსვლის მაჩვენებელია. გამოთქმული კრიტიკა კარგად უნდა გაითვალისწინონ იმ რაიონების პარტიულმა ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა, რომლებიც თავიანთი უხერხო მუშაობით უკან სწევენ რესპუბლიკის წარმატებებს, ამთავითვე გულდასმით შეისწავლონ ჩამორჩენის მიზეზები, დასახონ კონკრეტული სამოქმედო პროგრამა, თავდადებული შრომით გაუთანაბრდნენ მოწინავეებს და ამით აქტიური მონაწილეობა მიიღონ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელების საქმეში.

გაზაფხული კარს მოგვადგა. დადგა გადამწყვეტი დღეები. ახლა წყდება შვიდწლედის მესამე წლის უხვი მოსავლის ბედი. საჭიროა პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამოვიტანოთ სწორი დასკვნები, დავსახოთ კონკრეტული ღონისძიებანი, დავრაზმოთ მთელი ძალები პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

პარტიის XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის და იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებების წარმატებით განხორციელებისათვის კონკრეტული ვალდებულებები ნაკისრია, ახლა მთავარია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით პარტიულმა ორგანიზაციებმა და სამეურნეო ხელმძღვანელებმა გამონახონ დამატებითი რეზერვები და ახალი შრომითი გამარჯვებებით შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობას.

საწარმოებში, შახტებსა და მაღაროებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სიმძიმის ცენტრი უნდა გადავიტანოთ ნაკისრ ვალდებულებათა განხორციელებაზე. თუ ნაკისრია რეალური ვალდებულებანი და არის მათი შესრულების შესაძლებლობა, მთელი საქმე დამოკიდებულია მუშაობის ორგანიზაციაზე, იმის უნარზე, რომ ეს შესაძლებლობანი სინამდვილედ ვაქციოთ. ეს კი მოითხოვს, რომ პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები, სამეურნეო ხელმძღვანელები ღრმად სწვდებოდნენ წარმოების საქმიანობას, დროზე ავლენდნენ ნაკლოვანებებს, სწრაფად ეხმარებოდნენ ჩამორჩენილებს, უველას უჭმნიდნენ პირობებს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ საქართველოს სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული საბრძოლო პროგრამა საქართველოს უველა მშრომელს უნერგავენ კანონიერ სიამაყეს კომუნისტური პარტიისათვის, რომელსაც ჩვენი ქვეყანა მტკიცე ნაბიჯით მიჰყავს ახალი და ახალი გამარჯვებებისაკენ.

„მღელვარე დღეები“

11 მარტს კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა დრამატურგ ანა ალღაძის პიესა „მღელვარე დღეები“. სპექტაკლი მიძღვნილია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის მეორმოცე წლისთავისადმი.

სპექტაკლში მთავარი როლები შეასრულეს საქართველოს სახალხო არტისტმა მ. დავითაშვილმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ი. ტრიპოლსკიმ, ტ. საყვარელიძემ, აფხაზეთის ასსრ დამსახურებულმა არტისტმა ქ. ლაფერაძემ, მსახიობებმა ქ. კიკნაძემ, ი. ბოკუჩავამ, ს. ჭიაურელმა, გ. ციცქიშვილმა.

პიესის დადგმა განახორციელა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ვ. ანჯაფარიძემ, მხატვრობა ეკუთვნის დ. თაყაიშვილს, კომპოზიტორია ა. ჩორგოლაშვილი.

სპექტაკლს დაესწრნენ ვ. პ. მჟავანაძე, გ. ი. ჭადაგიძე, ა. ნ. ინაური, მ. მ. ლელაშვილი.

გულითადი შეხვედრები

△ ნ. ს. ხრუშჩოვი ნოვოსიბირსკში. △ ნ. ს. ხრუშჩოვი სტუმრად მეყაძირეებთან. △ ნ. ს. ხრუშჩოვი აკმოლინსკში ჩავიდა. △ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი.

ნოვოსიბირსკი, 10 მარტი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ციმბირის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირში, დღეს ინახულა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების მეცნიერთა ქალაქი. მასთან ერთად აქ იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე გ. ი. ვორონოვი და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ს. პოლიანსკი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა გ. ი. ვორონოვთან და დ. ს. პოლიანსკისთან ერთად დაათვალიერა გამოფენა, რომელიც ასახავს ციმბირის განყოფილების პირველ მეცნიერულ მიღწევებს. განყოფილების თავმჯდომარემ აკადემიკოსმა მ. ა. ლავრენტიევმა და ინსტიტუტების დირექტორებმა სტუმრებს გააცნეს მეცნიერული კვლევის შინაარსი და მთავარი მიმართულებანი.

თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერმა აკადემიკოსმა ს. ლ. სობოლევმა სტუმრებს გააცნო მათემატიკის ინსტიტუტის მუშაობა, სადაც შექმნილია მძლავრი გამოთვლითი ცენტრი. ნ. ს. ხრუშჩოვმა ინახულა ეს ცენტრი და დაათვალიერა ელექტრონულ-საანგარიშო მანქანა მოქმედების დროს.

ატომური ფიზიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, წევრ-კორესპონდენტმა გ. ი. ბუდკერმა აღნიშნა, რომ ინსტიტუტში შემუშავებულია და დამზადებულია ჭაბურღილის ნეიტრონული გენერატორი.

სტუმრების დიდი ინტერესი გამოიწვია მუშლის წინააღმდეგ ბრძოლის დარგში ბიოლოგთა და ქიმიკოსთა კომპლექსური მუშაობის მასალებმა. მეცნიერებმა შექმნეს ეფექტიანი პრეპარატები მის მოსასპობად. შექმნილია აგრეთვე საცდელი დანადგარი, რომელსაც შეუძლია ერთ საათში აეროზოლებით დაამუშაოს 10 ათასი ჰექტარი ფართობი. ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად მოეწყოს იმ საშუალებათა სამრეწველო წარმოება, რომლებიც საიმედოდ დაიცავენ ადამიანებსა და სასოფლო-სამეურნეო პირუტყვს მუშლისგან, ავრეთვე მოსპობენ მინდვრებისა და ტყეების მავნებლებს.

ექსპერიმენტული ბიოლოგიისა და მედიცინის ინსტიტუტის სტენდებთან სტუმრებს აჩვენეს ფერადი ფილმი, რომელიც ასახავს გულის ოპერაციას ამ ინსტიტუტის კლინიკაში.

ლენინური პრემიის ლაურეატმა პროფესორმა ე. ნ. მეშალკინმა განაცხადა, რომ მან და მისმა მოწაფეებმა გულის ორი ათასზე მეტი ოპერაცია გააკეთეს, აქედან ხუთასი — ციმბირში. ინსტიტუტმა დაამუშავა გულსა და ფილტვების 21 ახალი სახეობის ოპერაცია.

გამოფენაზე ფართოდ წარმოდგენილია მონაცემები ციმბირელი მეცნიერების მუშაობის შესახებ მეცნიერების ისეთ დარგებში, როგორიც არის თეორიული და გამოყენებითი მექანიკა, ავტომატიკა და ელექტრომეტრია, სამთო საქმე, რადიოფიზიკა და ელექტრონიკა, ტრანსპორტი და ენერგეტიკა, ორგანული და არაორგანული ქიმია, გეოლოგია და სხვ.

სამრეწველო წარმოების ორგანიზაციისა და ეკონომიკის ინსტიტუტის სტენდთან ნ. ს. ხრუშჩოვმა გამოთქვა შენიშვნები ეკონომიური მეცნიერების მუშაკების მიმართ. ბევრი ეკონომისტი ჯერ კიდევ სუსტად არის დაკავშირებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პრაქტიკულ საქმიანობასთან. მათ შრომებში ყოველთვის როდია დამუშავებული უველაზე აქტუალური პრაქტიკული პრობლემები. მაგალითად, მეცნიერები ნაკლებად ეხმარებიან მეურნეობებს იმ საკითხების დამუშავებაში, თუ როგორ დანერგონ მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის შრომის დამატებითი ანაზღაურება, ნაკლებად ეხმარებიან მატერიალური დაინტერესების პრინციპის განხორციელებაში.

ამ ინსტიტუტის დირექტორმა გ. ა. პრუდენსკიმ განაცხადა, რომ ეკონომისტი მეცნიერები საჭირო დასკვნას გამოიტანენ ამ შენიშვნებიდან და განამტკიცებენ ეკონომიური მეცნიერების კავშირს სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან.

ნ. ს. ხრუშჩოვმა ინტერესი გამოიჩინა მეცნიერთა ქალაქის მშენებლობის მსვლელობისადმი და დაათვალიერა მისი ტერიტორია.

აკმოლინსკი, 12 მარტი. გზაზე აკმოლინსკში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, როგორც უკვე ვიუწყებოდით, ეწვია საბჭოთა მეურნეობა „აკმოლინსკის“.

საბჭოთა მეურნეობაში საბჭოთა მთავრობის მეთაურის ჩასვლა დიდი მოვლენა იყო მეუყაძირეთა ცხოვრებაში. ცენტრალურ ეზოში ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს შეხვდა უველა ადგილობრივი მცხოვრები.

საბჭოთა მეურნეობის კანტორაში გაიმართა გულთბილი საუბარი მეურნეობის საქმეებსა და მისი განვითარების პერსპექტივებზე. საუბარში მონაწილეობენ საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშები, სპეციალისტები, ხელმძღვანელები, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დ. ა. კუნაევი, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. შ. შარიპოვი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ს. დ. დაულეთოვი, პარტიის აკმოლის საობლასტო კომიტეტის პირველი მდივანი ტ. ი. სოკოლოვი, საობლასტო აღმასკომის თავმჯდომარე ვ. გ. მაცკევიჩი, რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობების მინისტრი ა. ი. კოზლოვი და სხვები.

საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ა. ა. ცაპოვი აცნობებს, რომ ექვსწლიანი წლის წინათ აქ ჩამოვიდა კანტემიროვკის გვარდიული დივიზიის დემობილიზებულ ჯარისკაცთა და ოფიცერთა ჯგუფი. ისინი გახდნენ ახალი ცხოვრების პიონერები ამ მიწაზე. 1955 წლის გაზაფხულზე ბოიხნა თითქმის 15 ათასი ჰექტარი ყმინი, აშენდა პირველი სახლები.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს აინტერესებს, რა საათხინი კულტურები მოჰყავთ საბჭოთა მეურნეობაში. მას აცნობეს, რომ შარშან დათესეს 1.000 ჰექტარზე მეტი სიმინდი, მაგრამ მოსავალი დაბალი აღმოჩნდა. ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ საჭიროა უველგან ისწავლონ ამ კულტურის მოყვანა, ხოლო ყაზახეთის უმრავლე სიმინდი შეიძლება გაცილებით მეტი მიიღონ. მან მოაგონა დამსწრეთ, რომ ჩიტის ღლეშიც კი მექანიზატორმა ა. გ. ლისინკოვმა შარშან ამი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 1.100 ცენტნერი მწვანე მასა. ნ. ს. ხრუშჩოვი იძლევა, რომ შეარჩიონ ადგილობრივი პირობებისათვის უველაზე გამოსადეგი ჯიშების სიმინდი, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ნათესების მოვლას და, რაც განსაკუთრებით საჭიროა, შრომა ანაზღაურონ მიღებული მოსავლის მიხედვით. საუბარი ეხება ყამირი მიწების დიდ გამოუყენებელ შესაძლებლობებს. ნ. ს. ხრუშჩოვმა შენიშნა, რომ არ შეიძლება წლითიწლობით ხორბლის თესვა ნაშურალზე, მინდვრები უნდა გაიწმინდოს სარეველებისაგან, შეიქმნას უკეთესი პირობები მარცვლეულის მოსაყვანად. ამისათვის საჭიროა მეტი დაათესოს სათოხნი კულტურები, განსაკუთრებით სიმინდი, ჭარხალი და ბარდა.

მიზანშეწონილია ქვირის, წიწიბურას, საზეთე სელისა და ფეტვის თესვა. როცა საცდელი სადგურის დირექტორმა ამხ. ნაზარეევმა თქვა, რომ მათ ბარდის კარგი მოსავალი მიიღეს, მაგრამ არა აქვთ მანქანები მის ასაღებად, ნ. ს. ხრუშჩოვმა ურჩია აიღონ ბარდა ფოცხებით, როგორც ამას აკეთებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთ სახელმწიფო მამულში.

ნ. ს. ხრუშჩოვმა საბჭოთა მეურნეობის მეშვაიებთან და ყამირის მხარის ხელმძღვანელებთან ერთად განიხილა პირუტყვის საკვების საკითხი და ურჩია მათ შეამოწმონ საკვები პარკოსნების მოყვანის შესაძლებლობანი. მან თქვა, რომ ალტაის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, რომელსაც გ. ა. ნალივაიკო მეთაურობს, საკმაოდ ნაკეთებზე იღებს საკვები პარკოსნების 300 ცენტნერ მწვანე მასას და 30 ცენტნერ მარცვალს ჰექტარზე.

ეს პარკოსნები კარგი წინამორბედები არიან და შეიცავენ გაცილებით მეტ ცილას, ვიდრე იონჯა და შვრია, და ამიტომ ფრიად ხელსაყრელია მათი დათესვა სიმინდთან ერთად, დაახლოებით 100 ჰექტარ სიმინდზე 60 ჰექტარი საკვები პარკოსნები.

საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამბობს, რომ მარცვლეულის წარმოებასთან ერთად კანტემიროვეცები ზრდიან მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას. ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა საუბრის მონაწილეებთან ერთად გამოიანგარიშა, რა უნდა გაკეთდეს, რომ საბჭოთა მეურნეობა ერთ სულ მოსახლეზე ხორცის წარმოების მხრივ გამოვიდეს ამერიკის შეერთებული შტატების დონეზე. ამისათვის მეურნეობა 44 ათას ჰექტარ მიწის სპარგულებზე წელიწადში უნდა აწარმოებდეს 18,5 ათას ცენტნერ ხორცს, იმისათვის, რომ საჭირო რაოდენობით მივიღოთ საკვები იმ ჯგუფის მოსაშენებლად, რომელსაც შეუძლია ამდენი ხორცის მოცემა, საჭირო იქნება სასილოსე სიმინდი დაითესოს 3.300 ჰექტარზე და საშუალოდ ჰექტარზე აღებულ იქნას 300-400 ცენტნერი, ხოლო შაქრის ჭარხალი დაითესოს 1.300 ჰექტარზე და საშუალოდ ჰექტარზე აღებულ იქნას 200 ცენტნერი ძირები. საჭიროა აგრეთვე მეტი მოაშენონ ფრინველი, განსაკუთრებით წყლის ფრინველი, რისთვისაც უნდა გამოიყენონ წყალსატევები, რომლებიც ცოტა როდია ყამირის მხარეში.

შეეხნენ აგრეთვე საბჭოთა მეურნეობის შემდგომი განვითარების სხვა პრობლემებს.

საუბარში დიდი ყურადღება დაეთმო მეყაძირეთა ყოფაცხოვრებას.

საუბარი დამთავრდა. ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ასობით ადამიანის თანხლებით დათოვლილი ქუჩით წავიდა კლუბისკენ. კლუბის დარბაზი გაჭედილია ხალხით. დამსწრენი სტუმარს მხურვალე ტაშით შეეგებნენ. მას გულთბილად შეესალმა მეფერი ი. ი. ბურიგინი — ერთ-ერთი პირველი მეყაძირე, რომელიც მემარცვლეობის ბრიგადის ბრიგადირად მოვიდნენ 1954 წლის შემოდგომაზე ამ უკაცრიელ ველში. მან გაიხსენა, რომ ამ დროს აქ უკაცრიელი ადგილი იყო.

— უყურებ ახლა ყველაფერს, რაც ჩვენს გარშემოა, და სიხარულით გევსება გული, — ამბობს ვ. ი. ბურიგინი, დარბაზში უველა მყოფთან ერთად ნ. ს. ხრუშჩოვი ტაშს უკრავს მემინდვრეობის ბრიგადის ბრიგადირს ი. ა. გალახოვს, როცა იგი რწმენით აცხადებს, რომ თუ მეყაძირეები კარგად იშრომებენ, ისინი უახლოეს წლებში დაიწევიან ამერიკის შეერთებულ შტატებს ხორცისა და მატყლის წარმოების დონის მხრივ. ამხ. ი. ა. გალახოვი ლაპარაკობს ბრიგადის შრომაზე და ღასძენს, რომ წელს იგი ამხანაგებთან ერთად ვალდებულებას კისრულობს მიიღოს 4 ათასზე მეტი ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე სულ ცოტა 15 ცენტნერი მარცვალი.

მეყაძირეებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა, იგი მათ მიესალმა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით.

ცხოვრებამ დაგვანახვა, ხაზგასმით აღნიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომ ყამირმა გაამართლა თავისი დანიშნულება, ახლა უფრო კონკრეტულად უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ გავამრავლოთ ჩვენი ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების ღონისძიებათა შესახებ.

მოხსენებები დილის სხდომაზე გააკეთეს: ყაზახეთის კომპარტიის ყამირის სამხარეო კომიტეტის მდივანმა ტ. ი. სოკოლოვმა, კუსტანაის საოლქო კომიტეტის მდივანმა ა. მ. ბოროდინმა, ჩრდილოეთ ყაზახეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ს. ი. ჟურინმა, კოქჩეტავის საოლქო კომიტეტის მდივანმა ს. მ. ნოვიკოვმა და პავლოდარის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარემ დ. ბ. ჯანგოზინმა. (საკდესი).

ავამოქმედოთ, უფრო სრულად გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობის რეზერვები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

10 და 11 მარტს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს კომუნისტური პარტიის მორიგი, XXI ყრილობის მოწვევის შესახებ.

ქვემოთ ქვეყნდება მოხსენებები და გამოსვლები პლენუმზე.

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ა. თხილაიშვილის მოხსენება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილება, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვები პლენუმზე და ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე ჩვენი საბრძოლო პროგრამაა, გვაღებს კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ ხელმძღვანელობა სოფლის მეურნეობაში, ნაკლებად ვიხმაროთ სოფლის მეურნეობაში დაგროვილი რეზერვები და შესაძლებლობანი.

ასრულებენ რა პარტიის დირექტივებს, აჭარის მშრომელებმა უკანასკნელ წლებში გარკვეული წარმატებები მოიპოვეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში.

1960 წელს დამზადდა და სახელმწიფოს მიეყიდა მხოლოდ: ჩაი — 7.843 ტონა, ციტრუსები — 153 მილიონი ცალი, თამბაქო — 1.289 ცენტნერი, ხორცი — 5.074 ცენტნერი, რძე — 1.045 ტონა, ვიდრე 1953 წელს.

შარშან მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის, ჩაის ახალი პლანტაციების, ვენახების, ხეხილის ბაღების, დაფნის ნარგავებისა და სხვა მრავალწლიანი კულტურების გაშენების გეგმები. სიმეჩხრის აღმოსავლური ნერგი.

ჩაის პლანტაციების დამუშავების გაუმჯობესების. აგროტექნიკის წესების განუხრელი შესრულების შედეგად ყოველწლიურად იზრდება ჩაის პლანტაციების მოსავლიანობა. შარშან აჭარის მეჩაიეებმა პირნათლად შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი, მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 26.691 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი — გეგმით გათვალისწინებულზე 3.091 ტონით მეტი. საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნა 4.796 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 1953 წლის 4.022 კილოგრამისა.

ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გადიდებაში კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებმაც საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფეს 5.012 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწიეს ცალკეულმა საბჭოთა მეურნეობებმა, კოლმეურნეობებმა, ბრიგადებმა, რგოლებმა და მოწინავე მეჩაიეებმა. ოჩხამურის სტანციის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ჩაის ფოთლის საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 6.535 კილოგრამი შეადგინა, აჭარაში ჩაის ფოთლის მოსავლიანობის მხრივ ერთ-ერთი საუკეთესოა ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი“. აქ 89 ჰექტარი ფართობის ჰექტარზე 6.611 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს.

ყოველწლიურად იზრდება მოწინავე მეურნეობათა რიცხვი. შარშან 6 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მიიღეს ჰექტარზე 6 კოლმეურნეობამ და 4 საბჭოთა მეურნეობამ. მათ შორის არიან ბათუმის რაიონის სოფელ სარფის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა, იმავე რაიონის სოფელ ურეხის კიროვის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობები.

ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვის კოლმეურნეობაში 174 ჰექტარი ფართობის ჰექტარზე მიღებულია 6.062 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ქობულეთის რაიონის სოფელ ჭვედა ულიანოვკის კოლმეურნეობაში 148 ჰექტარი ფართობის ჰექტარზე მიღებულია 6.027 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს 48 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ბრიგადამ, რომელსაც ო. ზოიძე ხელმძღვანელობს, 12,2 ჰექტარ ფართობზე მოკრიფა 100 ტონა ჩაის ფოთოლი, ანუ ჰექტარზე 8.126 კილოგრამი. სოფელ ობობყვათის კოლმეურნეობის მესამე ბრიგადამ, რომელსაც რ. კონცელიძე ხელმძღვანელობს, 16,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოკრიფა 7.260 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ბათუმის რაიონის სოფელ სარფის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში რგოლმა, რომელსაც ი. მემიშში ხელმძღვანელობს, ორ ჰექტარ ჩაის პლანტაციაში საშუალოდ ჰექტარზე 9.682 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ზ. ხურციძემ ნახევარ ჰექტარ ნაკვეთზე მიიღო 10.867 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ამავე რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობის ბრიგადემ, სოციალისტური შრომის გმირმა მ. ჯინჭარაძემ მისთვის მიმაგრებულ 0,5 ჰექტარზე მოკრიფა 9.695 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, აჭარის სსრ 19390 კილოგრამი ჰექტარზე გადაანგარიშებით.

შარშან აჭარის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ციტრუსოვანთა კარგი მოსავალი მოიყვანეს. სახელმწიფოს მიეყიდა 19.615 ტონა მანდარინი, რაც გეგმის 118 პროცენტს შეადგენს, 1.897 ტონა ფორთოხალი — გეგმის 183 პროცენტი და 2.864 ათასი ცალი ლიმონი — გეგმის 275 პროცენტი. ქობულეთისა და ბათუმის რაიონებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი სახელმწიფოსათვის ციტრუსოვანთა ნაყოფის მიყიდვის დარგში.

ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა ყინვით დაზიანებული ციტრუსოვანთა პლანტაციების აღდგენისა და ნარგავების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებისათვის.

ქობულეთის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ შარშან საშუალოდ თვითეულ ხეზე მოკრიფა 298 ცალი ნაყოფი და სახელმწიფოს მიჰყიდა 2.945 ათასი ცალი ციტრუსი. ამავე რაიონის სოფელ დაგვის კოლმეურნეობაში მიღებულია 6.460 ათასი ცალი ნაყოფი — საშუალოდ 310 ცალი თვითეულ ხეზე.

ასეთივე უხვი მოსავალი მოჰყავთ გონიოს, ახალშენისა და ალამბარის საბჭოთა მეურნეობებში, ბათუმის რაიონის სოფლების ხელვაჩაურის, გონიოს, სარფის კოლმეურნეობებში. სოფელ ხელვაჩაურის კოლმეურნეობის წევრმა შ. ვარშალომიძემ მისთვის მიმაგრებული 270 ხიდან თვითეულზე მოკრიფა 1.500 ცალი ნაყოფი, ხოლო სოფელ გონიოს კოლმეურნეობის მეციტრუსეს ქ. ბაკურიძემ — 2.370 ცალი ნაყოფი თვითეულ ხეზე 220 ხიდან.

უკანასკნელ წლებში გაწეულია დიდი მუშაობა თამბაქოს პლანტაციების ფართობებისა და თამბაქოს წარმოების გადიდებისათვის. შარშან სახელმწიფოს მიეყიდა 2.420 ტონა თამბაქო, რაც 206 ტონით აღემატება 1965 წლისათვის გათვალისწინებულ ღონეს. საშუალოდ ჰექტარზე მიღებ

ავამოქმედოთ, უფრო სრულად გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობის რეზერვები

(გაგრძელება)

ინერგება წარმოებაში მეცნიერების მიღწევები და მოწინავე გამოცდილება.

ადგილი აქვს ჩაის პლანტაციების სიმეჩხირეს. ამის შედეგად ცალკეულმა კოლმეურნეობებმა მარშან ვერ შეასრულეს მეჩაიეობის დარგში ნაკისრი ვალდებულებანი.

მიუხედავად იმისა, რომ 1960 წელს შეასრულეს სახელმწიფოსათვის ციტრუსოვანთა ნაყოფის მიუღებელი გეგმა და გადაჭარბებით გაანადღეს ნაკისრი ვალდებულებანი, ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ცუდად უვლიან ციტრუსოვანთა ნარგავებს, საჭირო რაოდენობით არ შეაქვთ ორგანული და მინერალური სასუქები, არ აფარმოებენ ბრძოლას მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ, რის შედეგადაც მოსავლიანობა ჯერ კიდევ დაბალია.

დიდი ნაკლოვანებებია აგრეთვე ერთწლიანი კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების დარგში.

პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭომ რაიონულ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან ერთად შეიმუშავეს ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნარგავების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებისათვის. ამ ღონისძიებათა განხორციელება უზრუნველყოფს იმას, რომ მთლიანად აღმოიფხვრება ჩაის პლანტაციების სიმეჩხირე მომდინარე წელს, ხოლო ციტრუსებისა — 1962 წელს.

გაიაფდეს რა ბრძოლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, აჭარის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი. წელს მოკრეფენ 27.600 ტონა ჩაის მწვანე ფოთლს, ანუ 2.000 ტონას გეგმის გადამეტებით, სახელმწიფოს მიჰყიდიან 425 მილიონ ცალ ციტრუსოვანთა ნაყოფს — გეგმასთან შედარებით 50 მილიონი ცალით მეტს, 2,625 ტონა თამბაქოს — გეგმასთან შედარებით 1.000 ტონით მეტს.

ნაკისრი ვალდებულებანი ითვალისწინებენ სახელმწიფოს მიეყიდოს 11.200 ცენტნერი ხორცი, 41.500 ცენტნერი რძე და 1.479 ათასი ცალი კვერცხი. კოლმეურნეობებში თვითეულ ძროხაზე უნდა მიიღონ 1.500 კილოგრამი რძე.

გაშენდება 195 ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაციები, 200 ჰექტარი ციტრუსები, 343 ჰექტარი ხეხილის ბაღები, 80 ჰექტარი ვენახები.

ყოველ ღონეს ვიხმართ სიმინდის წარმოების გადიდებისათვის.

მინდვრებსა და პლანტაციებში გაჩაღებულია მუშაობა. კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები ძალოვნეს არ იშურებენ, რათა წელს უხვი მოსავალი მიიღონ. სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს ჩაის პლანტაციების ბარვა, სასუქების შეტანა, ბუჩქების გასხვლა — ფორმირება, მანქანებისა და იარაღების რემონტი. დაიწყო ციტრუსოვანთა პლანტაციების ბარვა. მინდვრად გაიქვთ სასუქები, ეწყობა თამბაქოსა და ციტრუსოვანთა სანერგეები, ირგვება თამბაქო, მზადდება ნიადაგი ჩაისა და ციტრუსოვანთა ახალი პლანტაციების, ხეხილის ბაღების, ვენახების გასაშენებლად.

მართალია, წლის დამდეგიდან სახელმწიფოს მიეყიდა მეცხოველეობის რამდენადმე ნაკლები პროდუქტები, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში, მაგრამ უკვე მიღებული ყველა ღონისძიება ამ ჩამორჩენის გადასალახავად.

უკანასკნელ დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კადრებთან მუშაობას. ახლა 166 კოლმეურნეობის თავმჯდომარიდან 72 უმაღლესი და საშუალო განათლების მქონეა, მათგან 36 სოფლის მეურნეობის სპეციალისტია.

მაღალ ღონეზე ჩაიარა საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა კოლმეურნეობებში. კოლმეურნეები გაბედულად ამხილებდნენ არსებულ ნაკლოვანებებს, მკეთრად აკრიტიკებდნენ გამგეობათა მუშაობას. 26 კოლმეურნეობაში საერთო კრებამ გაათავისუფლა სუსტი თავმჯდომარეები, რომლებმაც თავი ვერ გაართვეს თავიანთ მოვალეობას, და მათ მაგიერ აირჩიეს უნარიანი, საქმის მცოდნე ამხანაგები.

ასეთია მოკლედ შედეგები სოფლის მეურნეობის დარგში გაწეული მუშაობისა და ის ამოცანები, რომლებიც უნდა გადაეჭრათ შეიძლებელის ვადაზე ადრე. ამავე დროს მიღწეა პლენუმის წინაშე დაგეგმილ მთელი რიგი საკითხები, რომელთა ცხოვრებაში გატარებაც დაუთმო. როცა შექმნილია სპეციალური ორგანიზაცია ტექნიკით სოფლის მეურნეობის მომარაგებისათვის, საჭიროა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დახმარება.

აჭარაში 17 ჩაისა და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაა. მათ მომდინარე წლისათვის იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი ახალგაზრდა ჩაის ფოთლისა და ციტრუსების ჩაბარების დარგში, მაგრამ აქ ვალდებულებათა შესრულება ბევრად არის დამოკიდებული მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების მოწესრიგებაზე. საბჭოთა მეურნეობები უზრუნველყოფილი არ არიან საცხოვრებელი ფართობით, არსებული საცხოვრებელი ფართობი კი რემონტს მოითხოვს. არცთუ ისე კარგია კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. ამავე დროს საბჭოთა მეურნეობები მეტად მცირე რაოდენობით იღებენ მასალებს მშენებლობისა და რემონტისათვის, რაც წლებით აჭიანურებს მთელი რიგი ობიექტების მშენებლობას. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საბჭოთა მეურნეობების სამმართველომ ყურადღება უნდა მიაქციოს საბჭოთა მეურნეობებში საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობას, ისე რომ უახლოეს ხანში უზრუნველყოფილ იქნან მუშები საცხოვრებელი ფართობით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე და ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე ყურადღება მიექცა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოწყვლის საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ აჭარაში ამ მიმართულებით უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული, მდგომარეობა ჯერ კიდევ მაინც არადამაკმაყოფილებელია. ცნობილია, რომ აჭარის მაღალი მთის რაიონებში იშვიათი არ არის ხანგრძლივი გვალვა, რაც დიდ ზარალს აყენებს სოფლის მეურნეობას, მნიშვნელოვნად ამცირებს სხვადასხვა კულტურების მოსავლიანობას. ტერიტორიის თავისებურების გამო ამ საკითხის საბოლოო გადაჭრა დიდ სახსრებს მოითხოვს. მიუხედავად ამისა, ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია უახლოეს ხანში განვახორციელოთ თუნდაც ზოგიერთი ღონისძიება. ჯერჯერობით, ხუთსა და შუახევის რაიონებში გავიყვანოთ ორი სარწყავი არხი, რომლებიც მოემსახურებიან თერთმეტ კოლმეურნეობას და მოირწყვენენ 3.500 ჰექტარ ფართობს. გარდა ამისა, მდინარე აჭარისწყალზე სოფლების ნენიისა და ფიქრიოს მახლობლად აშენდება ორი წყალსატუმბი, რომელთა დახმარებითაც შეიძლება მოირწყას შვიდი კოლმეურნეობის 1.700 ჰექტარი მიწა. ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტრო შეისწავლის ამ საკითხს და საჭირო დახმარებას გაგვიწევს.

არაერთხელ თქმულა იმის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონე, განსაკუთრებით კი მთიან რაიონებში, ჯერ კიდევ მეტად დაბალია. ამ მიმართულებით მიღებული ღონისძიებანი აშკარად არ არის საკმარისი. ახლა, როცა პარტიამ ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო, როცა შექმნილია სპეციალური ორგანიზაცია ტექნიკით სოფლის მეურნეობის მომარაგებისათვის, საჭიროა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დახმარება.

აჭარაში წლითიწლობით იზრდება თამბაქოს დამზადების მოცულობა, ხოლო მიღები პუნქტებისა და საწყობების რაოდენობა არ მატულობს. ჩვენი გაანგარიშებით, წელს საჭიროა აშენდეს თუნდაც ხუთი საწყობი თვითეული 100 ტონის ტევადობისა ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონებში, 500 ტონის ტევადობის ერთი საწყობი ქალაქ ბათუმში. ამ საკითხებში გვჩირდება საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს დახმარება.

იმ მიზნით, რომ ქალაქ ბათუმის და აჭარის კურორტების მოსახლეობა უზრუნველყოფილ იქნას რძით, შარშან პარტიის საოლქო კომიტეტმა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭომ დააყენეს საკითხი იმის შესახებ, რომ ბათუმის რაიონში შეიქმნას მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა, მაგრამ ეს საკითხი დღემდე არ არის გადაწყვეტილი.

ახლა აჭარის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება სკკპ მომავალი XXII ყრილობის აღსანიშნავად. მასების მაღალ პატრიოტულ აღმაფრენას სათავეში უდგანან პარტიული ორგანიზაციები, ისინი აუმჯობესებენ შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობას, ჭკვიდროდ ეხმარებიან სოფლის მშრომელებს ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებაში.

აჭარის სოფლის მეურნეობის მშრომელთა სახელით პირობას ვაძლევ ამ პლენუმს, რომ არ დავუშვებთ ძალოვნეს, რათა წარმატებით შევასრულოთ პარტიის მიერ დასახული ამოცანები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მკვეთრი გადიდების დარგში. (ბათუმი).

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. 3. კოზაევის მოხსენება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილება, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლები და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ზონალურ თათბირებზე განსაზღვრა-ვენ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ანტიერსებისათვის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების მთავარ მიმართულებებსა და კონკრეტულ ამოცანებს. ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებში მოცემულია სოფლის მეურნეობის მდგომარეობის ღრმა ანალიზი, დასაბუთებულია კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ყველა დარგის უფრო სწრაფი განვითარების საშუალება და რეალური შესაძლებლობა, მხილებულია სერიოზული ნაკლოვანებანი მეურნეობის ხელმძღვანელობაში, ნაჩვენებია მათი აღმოფხვრის გზები,

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი ღრმად და ყოველმხრივ განიხილეს კოლმეურნეობათა პირველად პარტორგანიზაციებში, კოლმეურნეთა საერთო კრებებზე, პარტიის რაიკომების პლენუმებზე, განვიხილეთ სოფლის პარტიული კომიტეტის პლენუმზე. შემუშავებულია კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას ზრდას. გამოვლინებულია ბევრი გამოუყენებელი რეზერვი, რის საფუძველზეც იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი.

სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს შვიდწლედის მეორე წლისათვის ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გასულ წელს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმა 213 პროცენტით შეასრულეს. რძე გაიყიდა ერთნახევარჯერ მეტი, ვიდრე წინა წელს. სახელმწიფოს მიეყიდა ბევრი შაქრის ჭარხალი, ბოსტნეული, ხილი, კვერცხი, მატყული, მაგრამ ამ პროდუქტების წარმოების გეგმა არ შესრულებულა.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის მთელი რიგი პროდუქტების მიყიდვის გეგმა შესრულებულია საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის ზრდასთან ერთად. გაუმჯობესდა წარმოებული პროდუქციის ხარისხი, მაგალითად, მთელი გაყიდული ხორცის 92 პროცენტი იყო საშუალო და საშუალოზე მაღალი ნაკვებობისა. ეს უზრუნველყოფილია იმით, რომ მკვეთრად გაუმჯობესდა პირუტყვის ბაგური და საძოვრული გასუქება.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის, ისევე როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა დარგების განვითარებაში ჩვენ მაინც გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებები. ოლქი მეცხოველეობის ცოტა პროდუქციას აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე გადაანგარიშებით. ყოველ ას ჰექტარ მიწაზე ოლქის კოლმეურნეობებში გასულ წელს წარმოებულია ხორცი 14,8 ცენტნერი, რძე — 111,2 ცენტნერი. ეს მაჩვენებელი რომ შესაძლებელს ნაკლებად, ამას ადასტურებს ის, რომ ბევრი მეურნეობა 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე აწარმოებს 36-50 ცენტნერ ხორცსა და 280-310 ცენტნერ რძეს.

მეწველი პირუტყვის პროდუქტიულობა 1953 წელთან შედარებით, 3,4-ჯერ გადიდდა, მაგრამ წველადობის გეგმა 1960 წელს მაინც არ შესრულებულა. საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 1.033 კილოგრამი რძე, გეგმით კი დადგენილი იყო 1.200 კილოგრამის ნაცვლად.

ყოველ ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე (ზამთრის საძოვრების გაუთვალისწინებლად) მოდის 47 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, აქედან მხოლოდ 13 ძროხა. ჩვენ გვესმის, რომ ხორცისა და რძის წარმოების და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, განსაკუთრებით ძროხის სულადობის ზრდის ასეთ დონეს ის შეიძლება შევთურგნეთ. ამიტომ ამოცანად დავისახეთ მივაღწიოთ პირუტყვის სულადობის სწრაფად გადიდებას, ავიყვანოთ მისი რაოდენობა შვიდწლედის დამლევს 18 ათასამდე — პირუტყვის საერთო სულადობის დაახლოებით 36 პროცენტამდე. ამასთან ძროხის ყოველწლიური სულადობის მატება იქნება 1.200 სული, რაც სავსებით რეალურია და რის შესრულებაც შესაძლებელია.

განზორციელდება ღონისძიებანი პირუტყვის ბერწიანობის ლიკვიდაციისა და ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის. უკვე 1960 წელს ფართოდ ხორციელდება ძროხის ხელოვნური დათესვა, ხოლო წელს იგი კიდევ უფრო მეტად იქნება გამოყენებული.

სამხრეთ ოსეთს მთლიანად ეხება კრიტიკა ჩვენი რესპუბლიკის მიმართ — მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების არსებულ შესაძლებლობათა არასრული გამოყენებისათვის, ცხვრის გაწყდომისათვის. პირუტყვის ცუდი მოვლა-პატრონობის, მისდამი უყურადღებო დამოკიდებულების გამო ოლქის ბევრ კოლმეურნეობას გასულ წელს გაუწყდა დიდძალი პირუტყვი, განსაკუთრებით ცხვარი. უნდა ვაღიაროთ, რომ წელს მთელ რიგ კოლმეურნეობათა გამგეობებს არ მიუღიათ საჭირო ღონისძიებანი პირუტყვის კვების, მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებისათვის, კვლავ დაუშვეს პირუტყვის გაწყდომა. ახლა უველგან წარმოების მუშაობა მეურნეობათა ხელმძღვანელებისა და ცალკეული მწყემსების მიზეზით გამწყდარი და დატაცებული პირუტყვის ანაზღაურებისათვის. არის სრული გარანტია, რომ წელს არავითარ შემთხვევაში არ გამეორდება 1960 წლის შეცდომები, შენარჩუნებულ იქნება მთელი სულადობა.

სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა გადაწყვეტეს მებრძოლურად მოჰკიდონ ხელი მეცხვარეობის განვითარებას, ამისათვის კოლმეურნეობებში, განსაკუთრებით მაღალმთიანი ზონის კოლმეურნეობებში, ხელსაყრელი პირობებია. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია გადავსინჯოთ ზოგიერთი დებულება მეცხვარეობის განვითარებისადმი მიდგომაში. კერძოდ, ცხვრის მეტიზაციით გადაკარბებული გატაცება ზრდის დანაკლისს. ჩვენი მეცხვარეობა დაკავშირებულია დიდ სიძნელეებთან ზამთრის პირობებში, ხოლო ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი ცხვრები ვერ უძლებენ ზორს გადასვლას. საჭიროა აღვადგინოთ გაუმჯობესებული თუშური ჯიში.

ცხვრის დიდი გაწყდომის მეორე მიზეზია ის, რომ ბევრ კოლმეურნეობაში არ ხორციელდება ყოველწლიური წუნდება ბებერი ნერბებისა, რომლებიც ზამთრის პერიოდში მკლავდებიან. ჩვენ გადავწყვიტეთ შევუდგეთ სადედე სულადობის წუნდებასა და მის შეცვლას, რაც ჩვენი აზრით, მომდინარე წლის მაისიდან უნდა დაიწყოს. ამისათვის საჭიროა ზამთრის საძოვრებზე მოვაწყოთ მოძრავი სასაკლაოები, რომლებიც დაკლავენ პირუტყვს საძოვრებზე და შემდეგ ჩამოტანენ.

მეცხვარეობის განვითარება მთის კოლმეურნეობების ეკონომიკის აღმავლობის ერთ-ერთი მთავარი გზაა. ბაფხულის საძოვრების არსებობა საშუალებას გვაძლევს კოლმეურნეობებში ვიყოლიოთ 250-300 ათასი სული ცხვარი, ე. ი. იმაზე ერთიორად და კიდევ მეტი, რაც ამჟამად გვყავს. მაგრამ ჩრდილოეთ კავკასიაში ოლქის კოლმეურნეობებს მოეპოვებათ ზამთრის საძოვრების მხოლოდ ისეთი ფართობი, რომელიც არსებული სულადობის მოთხოვნილებასაც კი გაჭირვებით აკმაყოფილებს, ვითვალისწინებთ რა მთის კოლმეურნეობების მდგომარეობას, მათი შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების ინტერესებს, ჩვენ ვთხოვთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს დაგვეხმაროს დამატებითი საზამთრო საძოვრების გამოყოფის საქმეში.

ხორცის წარმოების სწრაფი ზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მეღორეობის განვითარებას. ღორის ხორცის წარმოება 1960 წელს 1959 წელთან შედარებით გადიდდა სულ 18,7 პროცენტით, რაც აშკარად არ არის საკმარისი. ჩვენ გადავწყვიტეთ მომდინარე წელს გავაფართოოთ და გავაუმჯობესოთ ღორის გასასუქებელი სოკოლმეურნეობათაშორისო პუნქტების მუშაობა, გავასუქოთ 7.350 სული ღორი და ვაწარმოოთ 6 ათასი ცენტნერი ღორის ხორცი, ანუ 75 პროცენტით მეტი, ვიდრე 1960 წელს.

მეურნეობის ჩამორჩენილ დარგად კვლავ რჩება მეფრინველეობა. 1959 წელთან შედარებით ფრინველის სულადობა კოლმეურნეობებში თუმცა 9,2 პროცენტით გადიდდა, ხოლო კვერცხის წარმოება ერთიორად გაიზარდა, მაგრამ ეს ტემპები ჩვენ ვერ გვაკმაყოფილებს. რათა განვავითაროთ მეფრინველეობა, რენტაბელური გავხადოთ იგი, ჩვენ გადავწყვიტეთ გავაბსხვილოთ მეფრინველეობის ფერმები, ყოველ რაიონში თავი მოვუყაროთ მათ ერთ-ორ კოლმეურნეობაში.

ოლქის კოლმეურნეობანი ძირითადად უზრუნველყოფენ თავის თავს საკვებით, მაგრამ ჯერ კიდევ არიან მეურნეობანი, რომლებიც ყოდულობენ დამატებით საკვებს. ოლქს აგარის შაქრის კომბინატიდან უნდა ეძლეოდეს ჟანჟალი, რომელიც კარგი დამატებითი საკვებია, ვაგრამ კომბინატიდან დირექცია რატომღაც არ აძლევს ჩვენს კოლმეურნეობებს ჟანჟალს, მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე არის მთავრობის დადგენილება.

ყოველმხრივ განიხილეს რა პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შედეგები, ოლქის მეცხოველეებმა გადაწყვიტეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა 1961 წლის ბოლოს აიყვანონ 44.200-მდე, აქედან ძროხა — 12.300-მდე, ცხვარისა — 96.000-მდე, ღორისა — 9.500-მდე; აწარმოონ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე 18,7 ცენტნერი ხორცი და 143,1 ცენტნერი რძე. ჩვენ ვალდებულება ვიკისრეთ წელს სახელმწიფოს მივყიდოთ 1960 წლის გეგმით გათვალისწინებულზე მეტი ხორცი — 8.870 ცენტნერი, რძე — 14.800 ცენტნერი, მატყული — 400 ცენტნერი და კვერცხი — 150 ათასი ცალი. ეს ვალდებულებანი პირნათლად სრულდება. უკვე გადამეტებით შესრულებულია სახელმწიფოსათვის ხორცისა და კვერცხის მიყიდვის კვარტალური გეგმა, ხოლო რძის მიყიდვის გეგმა სულ მალე შესრულდება.

ჩვენი ოლქის მთისპირა ზონის ბევრი კოლმეურნეობისათვის დიდმნიშვნელოვანი დარგია მეხილეობა და მევენახეობა. ამ უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობებმა დაიწყეს ბაღებისა და ვენახების ფართობების გადიდება. 1960 წელს გაშენდა 412 ჰექტარი, ხოლო მომდინარე წელს გათვალისწინებულია კიდევ 339 ჰექტარი ბაღებისა და ვენახების გაშენება.

გაეცნო რა პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ოლქის ბევრმა მებაღემ იკისრა გადიდებული ვალდებულებანი. ზნაურის რაიონის გურამიშვილის სახელობის კოლმეურნეობის მეხილეობის ბრიგადამ, რომელსაც დ. დურგლიშვილი ხელმძღვანელობს, ვალდებულება იკისრა მომდინარე წელს 94 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 250 ცენტნერი ხილი. მთელ ფართობზე ასეთივე მოსავლისათვის იბრძვის სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა.

ცუდად რიგი ამუშავეს შვიდწლედის მეორე წელს მეჭარხლეებმა. ჰექტარზე მიღებულია 265,4 ცენტნერი ძირები და სახელმწიფოს მიეყიდა 170.129 ცენტნერი ჭარხალი. განსაკუთრებით კარგად მუშაობდნენ სოფელ ავნევის კოლმეურნეობის წევრები, რომლებმაც ყოველ ჰექტარზე მიიღეს 396,3 ცენტნერი შაქრის ჭარხალი. სამწუხაროდ, ყველა კოლმეურნეობაში როდია მოგვარებული შაქრის ჭარხლის ნათესების მოვლა, რაც ხელს უშლის უხვი მოსავლის მიღებას მთელ ფართობებზე.

ამ უკანასკნელ წლებში სამხრეთ ოსეთში შესუნქები ყურადღება მარცვლეული წარმოებისადმი, რის შედეგადაც შემცირდა ნათესი ფართობები, იკლო საერთო მოსავალმა. ამან უარყოფითი გავლენა მოახდინა მთელი საზოგადოებრივი მეურნეობის, განსაკუთრებით მეცხოველეობის განვითარებაზე.

1960 წელს მარცვლეული კულტურების მოსავლის ასაღები ფართობი შეადგენდა 15.900 ჰექტარს. საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 7,1 ცენტნერი მარცვლეული, აქედან სიმინდი — 8,9 ცენტნერი. სულ დათესილი იყო 5.500 ჰექტარი სიმინდი, აქედან საწარცვლედ—3.977 ჰექტარი.

მარცვლეულის, განსაკუთრებით სიმინდის ასეთი დაბალი მოსავლიანობა შეიძლება აიხსნას მხოლოდ ცუდი მუშაობით და იმით, რომ პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ძალიან ცუდად უწევდნენ ხელმძღვანელობას მარცვლეულ მეურნეობას.

ამავე დროს ბევრი კოლმეურნეობისა და ცალკეულ მოწინავეთა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შეგვიძლია მივიღოთ მარცვლეულის, მათ შორის სიმინდის უხვი მოსავალი ურწყავ მიწებზეც კი. მაგალითად, სტალინირის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალისტურმა შრომამ“ 1960 წელს საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 14.3 ცენტნერი საშემოდგომო ხორბალი 133 ჰექტარ ფართობზე, ხოლო ამ არტელის მემინდვრეობის ბრიგადამ, რომელსაც ა. გოგიძე ხელმძღვანელობს, დიდ ფართობზე მიიღო საშუალოდ ჰექტარზე 16,5 ცენტნერი ხორბალი ანუ 27 ცენტნერი სიმინდი.

სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ 150 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მიიღო 26,8 ცენტნერი სიმინდი, ხოლო ნ. ბერულავილის ბრიგადამ — 43 ცენტნერი. ლენინგორის რაიონის ორჯონიძის კოლმეურნეობაში კომპაქშირელმა ზ. ელოევმა ჰექტარზე მიიღო 58 ცენტნერი სიმინდი.

პარტიისა და მთავრობის მოწოდების პასუხად სოფლის მეურნეობის მშრომელნი ჩაებნენ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში მარცვლეულის წარმოების გადიდებისათვის და იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი. შეჯიბრების ინიციატორად გამოვიდა ერედვის კოლმეურნეობის კომპაქშირული ბრიგადა, რომელმაც ვალდებულება აიღო სამუშაოდ ჰექტარზე მიიღოს 80 ცენტნერი სიმინდის მარცვალი. სოფელ დმენისის კოლმეურნეობაში სიმინდის უხვი მოსავლისათვის ერთმანეთს ეჯიბრებიან მამა და შვილი ვალეევები. ასეთი მაგალითი ბევრია. მთლიანად ჩვენმა მემინდვრეებმა ვალდებულება აიკისრეს მომდინარე წელს 3.500 ჰექტარ ფართობზე მიიღონ სიმინდის უხვი მოსავალი. სულ დაითესება 8.000 ჰექტარი სიმინდი.

ამჟამად კოლმეურნეობებში ემზადებიან საგაზაფხულო თესვისათვის. მინდვრად გაავქვთ ორგანული სასუქები, უწინარეს ყოვლისა იმ ნაკვეთებზე, რომლებიც გამოყოფილია სიმინდის დასათესად, მთავრდება სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეკეთება, სიმინდის თესლის დახარისხება და ჰიბატების მჭიდროდ ენერგიული ბრიგადებისა და რგოლების დაკომპლექტება საუკეთესო კოლმეურნეებით, კომკავშირელებითა და ახალგაზრდებით. კოლმეურნეობებში ამუშავებენ წამახალისებელ ღონისძიებებს კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გადიდებისათვის.

ერთ-ერთი დიდი ნაკლი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანაში არის მინდვრის სამუშაოთა მეტად სუსტი მექანიზაცია, რაც განპირობებულია, ერთი მხრივ რელიეფის თავისებურებებით, ხოლო მეორე მხრივ ტრაქტორების, გუთნების, კულტივატორების, სასხურებლების, მარცვალსაწმენდი და სხვა მანქანების ნაკლებობით.

ძალიან ცოტაა ტექნიკა სამთო მიწათმოქმედებისა და მთების თივის აღების მექანიზაციისათვის, რაც ფრიად აძნელებს მინდვრის სამუშაობისა და თივის აღების დროს განხორციელებას. თბილისში სასოფლო-სამეურნეო მანქანების სპეციალურმა საყონსტრუქტორო ბიურომ შეიმუშავა თივის ასაღები მანქანების კონსტრუქცია მთის პირობებში სამუშაოდ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს მანქანები არა ჩანს.

საოლქო პარტიული ორგანიზაციის აქტიური თანამშრომები არიან ახალგაზრდობა. ჩვენი სახელოვანი ლენინური კომკავშირი. კომუნისტები ჩვენი ქალაქებისა და ჰიბატების მჭიდროდ ენერგიის წარმართავენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველაზე პასუხსაგები ამოცანების გადასაწყვეტად. ამ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ახალგაზრდობის მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. ათასობით ახალგაზრდა მშრომელი მუშაობს მინდვრებში, პლანტაციებში, მეცხოველეობის ფერმებში. 1961 წლისათვის სოფლის ახალგაზრდობამ იკისრა მაღალი ვალდებულებანი: მიიღოს მეტი ჰექტარზე 60-80 ცენტნერი სიმინდი, ხოლო 3.200 ჰექტარი ფართობის საშუალო ჰექტარზე — 40 ცენტნერი, დააბინავოს 50 ათასი ტონა სილოსი, გააშენოს 200 ჰექტარი ბაღები და ვენახები. მეცხოველეობის ფერმებში სამუშაოდ გაიგზავნება ახალგაზრდა კომკავშირელები და ჰაბატები. ამ ღონისძიებების განხორციელება კიდევ 500 ქალიშვილი და ჰაბატი.

წარმატებანი სოფლის მეურნეობის განვითარებაში დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა ხელმძღვანელი კადრების სწორ შერჩევაზე, განაწილებასა და აღზრდაზე. ოლქის პარტიული ორგანიზაცია დიდ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა, ნიჭიერი კადრების გამოვლინებას. კოლმეურნეობებში გაუმჯობესდა კომუნისტების განაწილება წარმოების გადამწყვეტ უბნებზე.

ამასწინანდელ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე კოლმეურნეებმა გაბედულად და მწვავედ ამხილეს კოლმეურნეობათა გამგეობების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და დასახეს მათი აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი. მოიწვია არტელებში იმ თავმჯდომარეებმა ნაცვლად, რომლებმაც ვერ გაართვეს თავი მუშაობას. არჩეული არიან ხალხური მეურნეო წარმოების კარგი ორგანიზატორები, მათ შორის სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. გამგეობათა შემადგენლობაში არჩეულია მეტი ქალი და ახალგაზრდა კოლმეურნე. რომლებიც უველაზე აქტიურ მონაწილეობას იღებენ კოლმეურნეო წარმოებაში.

გაცილებით უფრო ფართოდ, ვიდრე წინა წლებში, გაიშალა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, გაუმჯობესდა თვალსაჩინო აგიტაცია სოფლის მეურნეობაში მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევათა დანერგვისათვის. ყველივე ეს იმის გარანტიაა, რომ ოლქის პარტიული ორგანიზაციები სათავეში დაუდგებიან და წარმართავენ სოფლის მშრომელთა ღონისძიებებს შეიდწლედის მესამე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, პარტიის XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის (ბათუმი).

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. მ. ბლაჭბას მოხსენება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1953 წ.) პლენუმის შემდეგ აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის განვითარებაში დიდმნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. გადიდდა ჩაისა და სხვა სუბტროპიკულ და ტექნიკურ კულტურათა მოსავალი, განხორციელდა ღონისძიებანი კოლმეურნეობათა გამსხვილებისა და ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებაში საბჭოთა მეურნეობის როლის ამაღლებისათვის.

აფხაზეთის მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს შვიდწლედის პირველი ორი წლის დავალებანი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დარგში.

სექტემბრის პლენუმის შემდეგ განვლილ შვიდ წელიწადში ჩაის ფოთლის საერთო მოსავალი 8.500 ტონით და მეტად გაიზარდა.

მაგრამ, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩაის ფოთლის წარმოების გადიდების ყველა არსებული რეზერვი როდია ამოქმედებული. თუმცა განვლილ შვიდ წელიწადში ჩაის პლანტაციების საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 727 კილოგრამით გაიზარდა, მაგრამ მიუხედავად ამისა იგი კვლავ მცირეა და ჯერჯერობით ბრწილ

ავამოქმედოთ, უფრო სრულად გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობის რეზერვები

(გაგრძელება)

წის ზედა ფენის ჩამორეცხვისა და წაღვენის, გამოტუტვისა და სხვა პროცესების გამო ეს ნიადაგები თანდათანობით კარგავენ ნაყოფიერებას. მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლიურად, შეაქვთ ღრმაშენელოვანი დოზით ორგანული და მინერალური სასუქები, თამბაქოს ნათესი მიწები კვლავ გამოფიტულია, რაც უარყოფითად მოქმედებს თამბაქოს ნედლეულის ხარისხზე. მიზანშეწონილად მიგვაჩნია უახლოეს წლებში არ ეცადოთ თამბაქოს წარმოების მოცულობის გადიდებას, არამედ მთავარი ყურადღება მივაქციოთ მისი ხარისხის ყოველმხრივ გაუმჯობესებას.

ჩვენში ყოველწლიურად იზრდება ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეულის წარმოება. კოლმეურნეობებმა 1960 წელს 128 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის გერანიუმ და რეპანის მიყიდვის გეგმა. ამ კულტურების წარმოება უკანასკნელ შვიდ წელიწადში თითქმის გადიდდა. 1961 წელს ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად სახელმწიფოს მივყიდით 2.514 ტონა ეთერზეთოვანთა ნედლეულს.

იზრდება დაფნის ნარგავების ფართობი. სახელმწიფოსათვის დაფნის ფოთლის მიყიდვის 1960 წლის დავალება 170 პროცენტით შესრულდა. მიმდინარე წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაშენდება დაფნის 35 ჰექტარი ახალი პლანტაციები.

აფხაზეთის კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა 1961 წლისათვის იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი ყურძნისა და ხილის წარმოების გასაადიდებლად. მიმდინარე წელს უნდა გაშენდეს 217 ჰექტარი ვენახები და 232 ჰექტარი ხეხილის ბაღები.

აფხაზეთის მეაბრეშუმეებმა ვალდებული აიკისრეს 1961 წელს აწარმოონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ 449 ტონა აბრეშუმის პარკი.

უკანასკნელ წლებში სიმინდის მარცვლის საერთო მოსავალი რამდენადმე გაიზარდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ კულტურის მოსავლიანობა კვლავ დაბალია. აფხაზეთის საუკეთესო მემინდვრეების ჩ. ქვაჩახიას, დ. შამუგიას, ო. ხეცურიას და სხვების მაგალითები დამაჯერებლად მოწმობენ სიმინდის წარმოების გადიდების დიდ რეზერვებს.

ხელმძღვანელობენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მშრომელები ცდილობენ შეიტანონ თავიანთი წვლილი საქართველოს მემინდვრეთა მიერ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში და მიმდინარე წელს ყოველ ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ მიაღწიონ მარცვლეული მეურნეობის მკვეთრ ამაღლებას. 1961 წელს გათვალისწინებული გვაქვს სიმინდი დავთესოთ 19.600 ჰექტარზე, აქედან სამარცვლედ 16.700 ჰექტარზე და სასილოსე მასისათვის—2.900 ჰექტარზე. 6.000 ჰექტარ ფართობზე ვალდებულებას გვაქვს მივიღოთ 60 ცენტნერი მარცვალი ჰექტარზე, ხოლო დანარჩენი ფართობის თვითეულ ჰექტარზე სულ ცოტა 20 ცენტნერი. ვალდებულებანი გათვალისწინებულია სასილოსე სიმინდის ნათესი ფართობის ჰექტარზე მიღებულ იქნას 250 ცენტნერი სიმინდის მწვანე მასა ჭყინტლი და ბაზე ტაროებით.

ვითვალისწინებთ რა იმას, რომ აფხაზეთის ძირითადი მიწები მაღალგანვითარებული სუბტროპიკული მიწათმოქმედების ზონაა, სიმინდის ნათესები ძირითადად თავმოყრილია გალისა და ოჩამჩირის რაიონებში. მარცვლის წარმოების გადიდება ოწარმოებს არა სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების ფართობის შემცირების ხარჯზე, არამედ იმის საფუძველზე, რომ მკვეთრად გაიზრდება სიმინდის პლანტაციების მოსავლიანობა და გადიდდება ნათესი ფართობები აღნიშნული რაიონების ტერიტორიაზე.

1961 წელს აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა სახელმწიფოს უნდა მიჰყიდონ 11.000 ტონა სიმინდის მარცვალი. ყველ ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ ეს დავალება შევასრულოთ.

ახლა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, კოლმეურნეობათა გამგეობებმა პრაქტიკულად დაიწყეს იმ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც მიზნად ისახავენ მარცვლეული მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის უზრუნველყოფას. ყველა კოლმეურნეობაში დაიწყო საგანგებო ხვნა, სიმინდის თესვა გათვალისწინებულია განხორციელდეს მხოლოდ კონდიციური თესლით და საუკეთესო ვადებში. ამასთან მეტი წილი დათესვება კვადრატულ-ბუდობრივი წესით, ხოლო იმ ნაკვეთებზე, სადაც ამის შესაძლებლობა არ არის, — მწკრივად. მემინდვრეთა წინაშე დასახულია ამოცანა — თვითეულ ჰექტარზე შეინარჩუნონ სულ ცოტა 40 ათასი მცენარე, დროულად უზრუნველყონ ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა. ამავე დროს სიმინდის ნათესი ფართობების გადიდებისათვის რეკომენდებულია თვითეულ კოლმეურნეობაში ყოველწლიურად აითვისონ 5-10 ჰექტარი ფართობი ნაკლებმნიშვნელოვანი ტყეებისა და ბუჩქნარების ამოძირკვით, ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებით, ნაკლებნაყოფიერი საბალახოებისა და სძოვრების მოხვნით.

სერიოზული მუშაობა უნდა გაეწიოთ მებოსტნეობის აღმავლობისათვის. ვითვალისწინებთ რა იმას, რომ აფხაზეთი სრულიად საკავშირო მნიშვნელობის უდიდესი ჯანმრთელობის კერაა, პრაქტიკულად უნდა გადავჭრათ მთელი წლის განმავლობაში ბოსტნეულისა და მწვანილის მიღების ამოცანა. ჩვენ გვაქვს ასეთი შესაძლებლობა და უნდა გამოვიყენოთ იგი.

აფხაზეთის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ერთგვარი მუშაობა გასწიეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობისათვის. 1960 წელს გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის დავალება, გარდა ძროხისა.

მაგრამ, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მეცხოველეობაში სერიოზული ნაკლოვანებანი გვაქვს. აფხაზეთში, რომელიც ძვირფასი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების ზონაა, მეცხოველეობის განვითარებისათვის საჭირო პირობები შეზღუდულია. კოლმეურნეობები ფერმებს ძირითადად ინახავენ შესყიდული საკვებით, რომელიც შეძენილია ჩაის, თამბაქოს, ციტრუსოვანი და ეთერზეთოვანი კულტურების გაყიდვის შედეგად მიღებული სახსრებით. ჩვენ გვჭირდება დახმარება მეცხოველეობის უფრო სწორ ორგანიზაციაში, რომელიც უნდა დაიგეგმოს იმის შესაბამისად, რომ გვქონდეს საკუთარი საკვები ბაზა. საკვების შესყიდვა და შემოტანა, რასაკვირველია, ზარდის პროდუქციის თვითღირებულებას.

აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა 1961 წლისათვის იკისრეს ვალდებულებანი: ყველა კატეგორიის მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდონ 25.175 ცენტნერი ხორცი, 71.510 ცენტნერი რძე და 9.955 ათასი ცალი კვერცხი.

საჭიროდ მიმაჩნია შევეხო აფხაზეთის სოფლის მეურნეობის განვითარების ზოგიერთ სპეციფიკურ საკითხს.

ჩაის, ციტრუსოვანი კულტურების, ყურძნის, ხილის, თამბაქოსა და სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების შესაძლებლობანი, რაც ჩვენ მოგვეპოვება, ჭეშმარიტად ამოუწურავია. მაგრამ ამ შესაძლებლობებს საკმარისად როდი ვიყენებთ. ჩვენ არ ვაწარმოებთ იმის ნახევარსაც კი, რის წარმოებაც შეგვიძლია, სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის განვითარებას ჩვენში უფრო სპეციალიზებული და მეცნიერულად დასაბუთებული ხასიათი რომ მიეცემოდეს.

შეგვიძლია მივაღწიოთ და კიდეც უნდა მივაღწიოთ იმას, რომ აფხაზეთი გახდეს ჩვენი ქვეყნის ნამდვილი სუბტროპიკული ბეღელი. მაგრამ ამისათვის უნდა გავაუქმოთ სეროზული სიძნელეები, რისთვისაც გვესაჭიროება დახმარება.

აფხაზეთის მეტ წილ კოლმეურნეობებში მეჩაიეობის 18 ძირითადი აგროტექნიკური ღონისძიებიდან მთლიანად მექანიზებულია მხოლოდ ოთხი—პლანტაჟი, აოშვა, დადისკოება და ფარცხვა. კულტივაცია მექანიზებულია მხოლოდ 10 პროცენტით, ბუჩქების სხვლა კი — 3 პროცენტით. დანარჩენი პროცესები, მათ შორის ყველაზე შრომატევადი პროცესი — ჩაის ფოთლის კრეფა, ხელით წარმოებს.

ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ყოველი ჰექტარი ჩაის პლანტაციის დამუშავებაზე საშუალოდ იხარჯება 520 შრომადღე. კიდევ უფრო დიდია ხელის შრომის დანახარჯები თამბაქოს მოვლა-მოყვანისას. მაღალია იგი აგრეთვე მეციტრუსეობაში, მევენახეობაში, ეთერზეთოვანი კულტურების და სიმინდის წარმოებაში.

ალარ შეიძლება შევეწინააღმდეგოთ ასეთ მდგომარეობას. ბოლოს და ბოლოს დროა შეიქმნას მანქანები სუბტროპიკული სოფლის მეურნეობისათვის, მათ შორის უწინარეს ყოვლისა — მთიანი მიწათმოქმედებისათვის.

აფხაზეთში მოჰყავთ 175 სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურა, რომლებიც სხვადასხვა სახეობებსა და ოჯახებს განეკუთვნებიან. თვითეულ მათგანს თავისი ბიოლოგიური თავისებურება აქვს და განსაკუთრებული აგროტექნიკა სჭირდება. მავნებლები და დაავადებანი ამ კულტურებს ყოველწლიურად მნიშვნელოვან ზარალს აყენებენ. მიუხედავად ამისა ბრძოლა მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ფაქტიურად შეწყვეტილია. არ გვყოფნის მაღალხარისხოვანი შხამ-ქიმიკატები, მექანიკური სამარკვები და მათი შლანგები. ჩვენი აზრით, რესპუბლიკაში უნდა შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო მავნებლებისა და დაავადებათაგან მცენარეთა დაცვის ერთიანი ცენტრი, აგრეთვე ფართოდ გამოყენებულ იქნას სარეველებთან ბრძოლის ქიმიური საშუალებანი.

ნიადაგის პირობები, აფხაზეთში გავრცელებული კულტურების მრავალფეროვნება მოითხოვს მოწესრიგდეს მინერალური სასუქებით მომარაგების საქმე. ახლა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სასუქებს იღებენ მხოლოდ და მხოლოდ ჩაის, თამბაქოს, ციტრუსოვანი და ეთერზეთოვანი კულტურებისათვის. მაგრამ მინერალური სასუქები ამითაც არ არის საკმარისი. რაც შეეხება მინდვრის სხვა ერთწლიან კულტურებს, მათთვის სასუქები სრულებით არ არის გამოყოფილი.

აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მშრომელებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა პლენუმზე და ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მასალებს, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს პლენუმზე და თათბირზე. ბრიგადებსა და მეცხოველეობის ფერმებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში მოეწყო კრებები სოფლის მეურნეობის სპეციალისტებთან მონაწილეობით. ამ კრებებზე შეიმუშავეს და ერთსულოვნად მიიღეს 1961 წლისათვის მარცვლეულის ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების ვალდებულებანი. გადაწყდა რაიონში მოიკრიფოს და სახელმწიფოს მიეყიდოს 20 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, ვიდრე სამი წლით ადრე — 1962 წელს შესრულდეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოების გეგმა, რომელიც გათვალისწინებულია შვიდწლიან დამლევისათვის. ვიდრე ორი წლით ადრე იქნება განსაღებული ჩაის ახალი პლანტაციების გაშენების გეგმა.

ამ ვალდებულებათა შესრულება ადვილი საქმე როდია. იგი დაკავშირებულია სერიოზულ სიძნელეებთან, მაგრამ მთელი რეზერვებისა და ყველა შესაძლებლობის გამოყენება საშუალებას მოგვცემს გადავლახოთ ეს სიძნელენი.

ახლა, როცა საფუძველი ეყრება შვიდწლედის მესამე წლის უხვ ნოსავალს, სოფლებში ფართოდ გაჩაღდა საავგატაციო-მასობრივი შუშაობა, გაიზარდა კომუნისტთა და კომკავშირელთა ავანგარდული როლი.

პარტიული ორგანიზაციები მჭიდროდ რაზმავენ მშრომელებს იმისათვის, რომ იბრძოლონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მეილი ვადებში და მაღალხარისხოვანი შხამ-ქიმიკატები, მექანიკური სამარკვები და მათი შლანგები. ჩვენი აზრით, რესპუბლიკაში უნდა შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო მავნებლებისა და დაავადებათაგან მცენარეთა დაცვის ერთიანი ცენტრი, აგრეთვე ფართოდ გამოყენებულ იქნას სარეველებთან ბრძოლის ქიმიური საშუალებანი.

ნიადაგის პირობები, აფხაზეთში გავრცელებული კულტურების მრავალფეროვნება მოითხოვს მოწესრიგდეს მინერალური სასუქებით მომარაგების საქმე. ახლა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სასუქებს იღებენ მხოლოდ და მხოლოდ ჩაის, თამბაქოს, ციტრუსოვანი და ეთერზეთოვანი კულტურებისათვის. მაგრამ მინერალური სასუქები ამითაც არ არის საკმარისი. რაც შეეხება მინდვრის სხვა ერთწლიან კულტურებს, მათთვის სასუქები სრულებით არ არის გამოყოფილი.

აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მშრომელებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა პლენუმზე და ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მასალებს, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს პლენუმზე და თათბირზე. ბრიგადებსა და მეცხოველეობის ფერმებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში მოეწყო კრებები სოფლის მეურნეობის სპეციალისტებთან მონაწილეობით. ამ კრებებზე შეიმუშავეს და ერთსულოვნად მიიღეს 1961 წლისათვის მარცვლეულის ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების ვალდებულებანი. გადაწყდა რაიონში მოიკრიფოს და სახელმწიფოს მიეყიდოს 20 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, ვიდრე სამი წლით ადრე — 1962 წელს შესრულდეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოების გეგმა, რომელიც გათვალისწინებულია შვიდწლედის

ავამოქმედოთ, უფრო სრულად გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობის რეზერვები

(გაგრძელება)

უნდა შეურგებელი ბრძოლა აწარმოონ ასეთი ელემენტების წინააღმდეგ.

დასასრულ ნება მიბოძეთ პირობა მივცე ცენტრალურ კომიტეტს, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაცია დარაზმავს რაიონის მშრომელებს პარტიისა და მთავრობის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, ყოველ ღონეს იხმარს იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობის მშრომელთა მზარდი პოლიტიკური და შრომითი აქტივობა წარმართოს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების საქმეში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. (ტაში).

პარტიის სილნაღის რაიკომის პირველი მდივნის ამხ. ზ. ბიძინაშვილის მოხსენება

ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს, ახერბაიჯანისა და სომხეთის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი, გამოჩენილი ლენინელის, მშვიდობისა და ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლის ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მონაწილეობა ამ თათბირში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე თათბირმა შეიმუშავა სამი მოძღვრისპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გაძლიერი პროგრამა, განსაზღვრა სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლის ძირითადი გზები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებამ, ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მონაწილეთა მიმართვამ, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მკაფიო სიტყვებმა დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვიეს სიღნაღის რაიონის მშრომელებში. პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებმა, კოლმეურნეობების წევრთა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა საერთო კრებებმა, სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონულმა თათბირმა დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების შემდგომი ზრდის შესახებ პარტიისა და მთავრობის მითითებათა შესრულებისათვის.

რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ზონალური თათბირების დოკუმენტების პროპაგანდისათვის. წაკითხულია 170 ლექცია და მოხსენება სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობისათვის კომუნისტური პარტიის ბრძოლის შესახებ. 1.200-ზე მეტი აგიტატორი ეწევა საagიტაციო-მასობრივ მუშაობას წოსალებაში.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებს დაუსახა პასუხსაგები, მაგრამ სავსებით რეალური ამოცანა — უკვე წელს მიჰყიდონ სახელმწიფოს 10 მილიონი, ხოლო უახლოეს წლებში 15 მილიონი ფუთი მარცვლეული. ჩვენი რაიონი მოწოდებულია დიდი წვლილი შეიტანოს ამ დავალების შესრულებაში. უკვე წელს უნდა მივყიდოთ სახელმწიფოს 719.800 ფუთი მარცვლეული, აქედან 329.400 ფუთი სიმინდი. ამის შესრულება შეგვიძლია, თუ სავსებით გამოვიყენებთ სიმინდის წარმოების რეზერვებს, უზრუნველვყოფთ სიმინდის მოვლა-მოყვანის მექანიზაციას, დავნერგავთ მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავეთა გამოცდილებას.

უკანასკნელ წლებში მარცვლეული კულტურებისადმი უყურადღება შესუსტებული იყო. მათი ფართობი 9.000 ჰექტარით შემცირდა. ჯეროვნად არ ვაფასებდით სიმინდს. გასულ წელს დათესილი გვქონდა 7.632 ჰექტარი სიმინდი, მარცვალი კი ავიღეთ მხოლოდ 2.607 ჰექტარზე, დანარჩენ ფართობზე აღებულ იქნა სასილოსე ბასი და მწვანე საკვები. დაბალ დონეზე ხორციელდებოდა აგროტექნიკური ღონისძიებანი, სუსტად ინერგებოდა სათხნი კულტურების მოვლა-მოყვანის კომპლექსური მეცნიერება.

ამჟამად მდგომარეობა მკვეთრად იცვლება. წელს მარცვლეული კულტურების ფართობი 26 ათასი ჰექტარი იქნება, თვითეულ ჰექტარზე ვიღებთ 18 ცენტნერ მარცვლეულს. კოლმეურნეობებს დათესილი ექნებათ 8770 ჰექტარი სიმინდი, აქედან 2500 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანთ 60 ცენტნერ მარცვალს, დანარჩენ ფართობებზე კი 37 ცენტნერს. ეს ორნახევარჯერ აღემატება წარმადილ მოსავალს.

სიმინდისათვის გამოყოფილი მიწები მოხნულია, უხმოსავლიან ნაკვეთებში შეგვიძლია ბევრი ორგანული სასუქი. კოლმეურნეობები იყენებენ მინერალურ სასუქებსაც, მაგრამ დღემდე დაბუსტებული არ არის დოზები ცალკეული ნაკვეთებისათვის. სოფლის მეურნეობის სამინისტრო უნდა დაეხმაროს მესიმინდეებს ამ საქმეში, რათა არ დაუშვან ძვირფასი სასუქების უმიზნო ხარჯვა.

სიმინდის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში ჩაება სოფლის ახალგაზრდობა. შექმნილია ახალგაზრდობის 16 ბრიგადა და რგოლი, რომელსაც მიჩენილი აქვთ 1200 ჰექტარი. ახალგაზრდობამ ვალდებულება აღიარა 1.000 ჰექტარზე მოიყვანოს სამოც-სამოცი ცენტნერი და 200 ჰექტარზე ორმოც-ორმოცი ცენტნერი მარცვალი.

კოლმეურნეობათა უმრავლესობას აქვს სიმინდის აპრობირებული, უხვმოსავლიანი თესლი. შექმნილია მეთესლეობის სპეციალური ბრიგადები, რათა შემდგომში რაიონი სავსებით უზრუნველყოფილ იქნას ჯიშიანი სათესლე ფონდით.

თესვა ძირითადად იწარმოებს კვადრატულ-ბუდობრივი წესით, 3.600 ჰექტარამდე უნაყოფიერეს მიწებს. საჭიროა წყალთა მეურნეობის სამინისტრომ დამატებითი არხი მორწყავდა 11.500 ჰექტარამდე უნაყოფიერეს მიწებს. საჭიროა წყალთა მეურნეობის სამინისტრომ განახორციელოს ღონისძიებანი შთელი ალაზნის სარწყავი სისტემის საექსპლოატაციო უნარის გაუმჯობესებისათვის.

ამხანაგებო! ასრულებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1953 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებებს, სიღნაღის რაიონის მშრომელებმა განახორციელეს დიდი ღონისძიებანი საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის. ძირითადად მთელი პირუტყვი უზრუნველყოფილია კეთილმოწყობილი სადგომებით, მზადდება გაცილებით მეტი წვნიანი და უხეში საკვები, გაუმჯობესდა პირუტყვის ჯიშიანობა და მისი მოვლა. უკანასკნელ შვიდ წელიწადში ხორცის წარმოება გადიდდა 1,8-ჯერ, რძისა — 3,4, კვერცხისა — 14,6, მატყლისა — 1,3-ჯერ, სულ 1961 წელს სახელმწიფოს მიეყიდა მეტი, ვიდრე 1953 წელს: ხორცი — 1.269 ტონა, რძე — 3.126 ტონა, კვერცხი — 1.918 ათასი ცალი და მატყლი — 106 ცენტნერი. გადაჭარბებით შესრულდა ცხოველთა სულადობის ზრდის დავალებანი.

თუ 1953 წელს კოლმეურნეობათა შემოსავალი მეცხოველეობისაგან შეადგენდა 10.696.000 ათეთს, გასულ წელს ამ შემოსავალმა უკვე 27.259.000 მანეთი შეადგინა (ძველი ფულით). მეცხველეობა გახდა ბევრი კოლმეურნეობის შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი წყარო, რენტაბელური დარგი მათს ეკონომიკაში.

კოლმეურნეობათა გამგეობები, პარტიული ორგანიზაციები ახორციელებენ ღონისძიებებს იმისათვის, რომ საკოლმეურნეო ფერმები განამტკიცონ გამოცდილი მეცხოველეებით. ახლა ჩვენ გვყავს ბევრი მოწინავე მწველავი, მეფრინველე, მეცხვარე, მეღორე, მეხბოროე, რომლებიც შეიძლება მისაბაძ მუშაკებად — შუქურებად მივიჩნიოთ.

კარგად მუშაობენ სარძეო-სასაქონლო ფერმების მუშაკები. 1953 წელთან შედარებით მათ ოთხჯერ გაადიდეს წველადობა, საშუალოდ ერთ ძროხაზე 1960 წელს 1500 კილოგრამამდე აიყვანეს იგი. ძიმედნარე წელს ეს ციფრი კიდევ 100 კილოგრამით გადიდდება.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეცხვარეობის განვითარებას. გასულ წელს რაიონში დაკვეთოცა ბევრი ცხვარი — მთელი სულადობის 9,5 პროცენტი. კოლმეურნეობებმა ყოველი ღონე იხმარეს, რომ ეს აღარ განმეორდეს, უკეთ მოეწყო გამოზამთრება, მეცხვარეობაში ინერგება ბევრი მოწინავე, პროგრესული ღონისძიება. ფართოდ ვრცელდება ჩვენი საუკეთესო მწყემსების — გ. ჩალაბაშვილისა და გ. მჭედლიშვილის გამოცდილება — ცხვრის ადრეული დაკლების. გასულ წელს ადრეული დაკლების გზით მივიღეთ 18 ათასი ბატკანი — 106 ბატკანი ყოველ 100 ნერგზე. წელს ცხვრის ადრეული დაკლება ინერგება კოლმეურნეობათა მეცხვარეობის თითქმის ყველა ფერმაში.

ხორცის წარმოების გადიდების მიზნით სერიოზული ყურადღება ექცევა მეღორეობისა და მეფრინველეობის განვითარებას. მიმდინარე წელს გავასუქებთ 13 ათას ღორს — ერთიორად მეტს, ვიდრე გასულ წელს, და 150 ათას ფრთა ფრინველს — შარშანდელზე 40 ათასი ფრთით ნეტს.

უნდა ვაღიაროთ, რომ თუმცა გვაქვს გარკვეული წარმატებანი, მაგრამ ყოველ 100 ჰექტარ მიწაზე ხორცისა და რძის წარმოება ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. ამის ერთ-ერთი მიზეზია ძროხის შედარებით მცირე ხვედრითი წონა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საერთო ჯოგში— 29 პროცენტი. წლის დამლევისათვის ჩვენ გვეყოლება 5 ათასი ძროხა — 800 სულით მეტი, ვიდრე წლის დაწყებს. შემდგომ წლებში ძროხის რაოდენობა ყოველწლიურად გაიზრდება 400-500 სულით. სერიოზულ ყურადღებას დაუთმობთ ავრეთვე სხვა სახეობის ცხოველთა სულადობის ზრდას, რადგან უთმისოდ შეუძლებელია შევასრულოთ ხორცისა და სხვა პროდუქტების წარმოების ზრდის პროგრამა.

ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ სამართლიანად მოგვითითეს იმის გამო, რომ ფილიანდაგის შედარებით რაიონმა შეამცირა ხორცისა და რძის წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა. ამჟამად, ვახორციელებთ ღონისძიებებს ჩამორჩენის დასაძლევად. ეჭვი არ არის, რომ პირველი კვარტალის დავალებანი, ისევე როგორც მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების წლიური გეგმები, წარმატებით იქნება შესრულებული.

კოლმეურნეობათა გამგეობები, პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ ყურადღებას აქცევენ შრომის დისციპლინის განმტკიცებას კოლმეურნეთა შორის. სულ უფრო ინერგება პრაქტიკაში კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების პრინციპი — შრომის ნაყოფიერების ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტიმული.

სიღნაღის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებს კარგად აქვთ შეგნებული იმ ამოცანების სიდიადე, რომლებიც დასახულია მათ წინაშე, ჩვენი ქვეყნის მთელი კოლმეურნე გლეხობის წინაშე. პარტიამ და მთავრობამ მოიფიქრეს საბჭოთა ადამიანებს კიდევ მეტი ენერგიით იბრძოლონ შვიდწლედის დავალებათა განხორციელებისათვის, სოფლის მეურნეობის შემდგომი აყვავებისათვის. ჩვენი რაიონის კომუნისტები, ყველა მშრომელნი თავიანთ წვლილს შეიტანენ საერთო-სახალხო საქმეში. (ტაში).

პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივნის ამხ. ზ. ბიძინაშვილის მოხსენების ძირითადი დებულებანი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შედეგების განხილვა გორის რაიონში დაუკავშირდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მასალებს და იმ მითითებებს, რომლებიც ამ თათბირზე მოგვცა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა. მშრომელებმა ერთსულოვნად მოიწონეს ეს მითითებანი. მათ სამართლიანად მოიხსენიეს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში არსებულ ნაკლოვანებათა კრიტიკა, იკისრეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ზრდისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1953 წ.) პლენუმის შემდეგ რაიონმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებაში. განსაკუთრებით საგულისხმოა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდა. 1953 წელს თვითეულ ძროხაზე მიღებული იყო 302 კილოგრამი რძე, 1960 წელს კი — 1.220 კილოგრამი. რძის საერთო წარმოება ამ ხნის განმავლობაში თითქმის ექვსჯერ გადიდდა. სახელმწიფოს მიეყიდა ხორცი 1.707 ტონა, ნაცვლად 1953 წლის 941 ტონისა, კვერცხი — 2.030.000 ცალი, ნაცვლად 1.330.000 ცალისა. 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე წარმოებული 26 ცენტნერი ხორცი, 192 ცენტნერი რძე და 2.866 ცალი კვერცხი, გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის ამ პროდუქტების მიყიდვის გეგმები.

სახოგადოებრივი მეცხოველეობის ძირითადი ნაკლია კვლავ ძროხებისა და ნერბების ბერწიანობა. შარშან ყოველ 100 ძროხაზე მიღებულია საშუალოდ 64 ხბო და ყოველ 100 ნერბეზე — 67 ბატკანი. ეს შეუწყნარებელია, და მიღებულია ღონისძიებანი, რომ უკვე წელს ბოლო მოეღოს ბერწიანობას.

ნელა ირიდება ძროხის სულადობა. სერიოზული ნაკლოვანებებია მეღორეობასა და მეფრინველეობაში. შარშან რაიონმა ვერ შეასრულა ღორის გასუქების ვალდებულებანი. ცუდი მოვლის შედეგად დაიხოცა ღორის 1.088 სული მოზარდეული. ბევრი ფრინველი დაიხოცა სხვადასხვა დაავადების გამო ადრე ასაკში. სამწუხაროდ, დღემდე არ არის მიღებული რადიკალური ღონისძიებანი ღორისა და ფრინველის მოზარდეულის შესანარჩუნებლად. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საჭირო დახმარება უნდა გაგვიწიონ ამ მხრივ.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა სამართლიანად გააკრიტიკა ჩვენი რესპუბლიკა ცხვრის დიდი სიკვდილიანობისათვის. ეს კრიტიკა სავსებით შეგვეხება ჩვენც. ორი ათასჯერ მეტი ცხვარი გაწყდომამ დიდი ზარალი მიაკენა რაიონის კოლმეურნეობებს.

ამ ნაკლოვანებებმა და ზარალმა ბევრი რამ გვასწავლა. ახლა ხორციელდება ღონისძიებანი, რომ არა მარტო გამოვასწოროთ მდგომარეობა, არამედ შევასრულოთ დიდი ვალდებულებანიც, რომლებიც პარტიის XXII კრილობის აღსანიშნავად ვიკისრეთ.

მეხილეობა გორის რაიონში სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია. ბაღების ფართობი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ახლა 6.874 ჰექტარს შეადგენს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად რაიონ-ს მშრომელებმა გადაწყვიტეს 4.500 ჰექტარი ახალი ბაღების გაშენების შვიდწლედის დამლევისათვის გათვალისწინებული გეგმა შეასრულონ ვადაზე ორი წლით ადრე — 1963 წელს. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ მეხილეობა ამ ხნეში ჯერ კიდევ მაინც ნელი ტემპებით ვითარდება, დაბალია ბაღების მოსავლიანობა, 1960 წელს საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 27 ცენტნერი ხილი. ამიტომ ვერ შესრულდა სახელმწიფოსათვის ხილის მიყიდვის გეგმა. მიზეზი ის არის, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში საკმაოდ არ უკლიან ხეხილის ბაღებს, ხშირად შემთხვევაში, როცა ღეჩებია ახალგაზრდა ნარგავები, ნარგავების მკურნალობა დაბალპროფესიულებლად არ წარმოებს.

შარშან გადაჭარბებით შესრულეთ ახალი ვენახების გაშენების გეგმა, მაგრამ ვერ შევასრულეთ სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის ვალდებულებანი.

დიდ მინუსად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ხეხილის ბაღებსა და ვენახებში თითქმის არ შეგვაქვს მინერალური სასუქები, შეუწყნარებლად ჩაიარდება ნიადაგის დამუშავება ბაღისა და ვენახების ტრაქტორებს, გუთნების, კულტივატორების უქონლობის გამო. არა გვაქვს მცირე ძალის ტრაქტორები, რაც აძნელებს მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელებას. განსაკუთრებით იგრძნობა ეს გაზაფხულზე, როცა ბაღებსა და ვენახებში ნიადაგის დამუშავება, ბრძოლა მავნებლების წინააღმდეგ ხორციელდება სათხნი კულტურების ნიადაგის თესვისწინა დამუშავების, თესვის, კულტივაციისა და სხვა სამუშაოთა პარალელურად.

მიმდინარე წელს უნდა დაითესოს 1.200 ჰექტარი შაქრის ჭარხალი და სახელმწიფოს უნდა მიეყიდოს 48 ათასი ტონა ნედლეული. ბოსტნეული კულტურები დაითესება 800 ჰექტარზე. ვითვალისწინებთ შექმნათ სათბური მეურნეობანი — 11.000 ჩარჩო ჩითილის გამოსაყვანად. სახელმწიფოს მიეყიდება სულ ცოტა 8.200 ტონა ბოსტნეული.

რაიონის მშრომელები დიდ ვალში არიან სახელმწიფოს წინაშე. ჩვენ დავკელით სახელმწიფოს 11 ათას ტონამდე ხილი, 4.300 ტონამდე შაქრის ჭარხალი, 2.800 ტონა ყურძენი. არ შეიძლება ყველაფერი ბუნებას, ცუდ ამინდს დავაბრალოთ, უწინარეს ყოვლისა ბრალი მიუძღვის რაიონის ხელმძღვანელობას, რომელმაც არ უხელმძღვანელა და არ წარმართა მშრომელთა აქტივობა ნაკლოვანებათა წარმატებით აღმოსაფხვრელად.

ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში პროდუქტების წარმოება დიდი ხანია ერთსა და იმავე დონეზეა. ახლა ჩვენ ველარ შეეურიგდებით ასეთ მდგომარეობას, რადგან ღრმად გვაქვს შეგნებული ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მითითებანი იმის შესახებ, რომ ის ხელმძღვანელები, რომლებსაც არ შეუძლიათ სანქმის ცოდნით უხელმძღვანელონ მეურნეობას, უნარი არა აქვთ მოაწყონ შრომა ისე, რომ წარმოება წლითიწლობით იზრდებოდეს და უმჯობესდებოდეს.

უნდა შევცვალოთ ენერგიული და გამოცდილი ადამიანებით, რომლებსაც უნარი შესწევთ უხელმძღვანელონ მშრომელებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ხილის, ყურძნის, შაქრის ჭარხლისა და სხვა კულტურების მოსავლიანობის გასაღიდებლად ჯერ კიდევ გასულ შემოდგომაზე კარგად მოეწყო ნიადაგის დამუშავება ხეხილის ბაღებსა და ვენახებში, შეტანილია სასუქები, განხორციელდა რწყვა. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ბაღები ასე კარგად ჯერ არ ყოფილა დამუშავებული. რაც შეეხება საგაზაფხულო კულტურებს, ისინი მთლიანად მზრალად ნახნავზე დაითესება.

რაიონის კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა კარგად გაითვალისწინეს ანალიზი, რომელიც ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა გაუკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე ჩვენი ქვეყნის მარცვლეულ მეურნეობას — მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველს, გაითვალისწინეს მის მიერ აღნიშნული შეცდომები და ნაკლოვანებები სოფლის მეურნეობის ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის ხელმძღვანელობაში.

1961 წელს ჩვენმა რესპუბლიკამ სახელმწიფოს უნდა მიჰყიდოს 10 მილიონი ფუთი მარცვლეული. რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაწყვიტეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 9.200 ტონა მარცვლეული. აქედან 2 ათასი ტონა ხორბალი, 400 ტონა ქერი, 6.785 ტონა სიმინდი და 15 ტონა ლობიო. ამ ვალდებულების შესასრულებლად ვითვალისწინებთ დავთესოთ 11 ათასი ჰექტარი სიმინდი. აქედან 3.500 ჰექტარი იქნება უხვმოსავლიანი, რომელზეც უნდა მივიღოთ 60 ცენტნერი მარცვალი თვითეულ ჰექტარზე. კრებებზე გულდასმით განიხილეს რა სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც წარსულ წლებში გვქონდა მარცვლეულისა და განსაკუთრებით სიმინდის წარმოების დარგში, კომუნისტებმა, კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშებმა და მოსამსახურეებმა თვითონ კრებებზე გამოიტანეს დასკვნა, რომ არის სამინდის წარმოების გადიდების რეალური შესაძლებლობანი, და იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი.

უნდა მოგახსენოთ, რომ მიმდინარე წელს სიმინდი ძირითადად მზრალად ნახნავზე დაითესება. წინა წლებთან შედარებით ჩვენ გვაქვს უკეთესი სათესლე მასალა და გვაქვს ყველა საფუძველი ვიფიქროთ, რომ სიმინდის უხვი მოსავლის მიღების საკითხი რაიონში წარმატებით გადაიჭრება. თუ გავითვალისწინებთ, რომ სიმინდის 11 ათასი ჰექტარი ნათესიდან 3.500 ჰექტარი უხვმოსავლიანი იქნება, და თვითეულ ჰექტარზე მივიღებთ 60 ცენტნერ სიმინდს, მარტო ეს მოგვცემს 21 ათას ტონა მარცვალს.

სიმინდის საერთო წარმოებას გავადიდებთ 36 ათას ტონამდე, რაც საშუალებას მოგვცემს მივყიდოთ სახელმწიფოს 6.785 ტონა სიმინდის მარცვალი და ვაკმაყოფილოთ რაიონის საზოგადოებრივი მეცხოველეობის მოთხოვნილებანი.

ამ ვალდებულებათა შესასრულებლად უკვე განხორციელდა ორგანიზაციული ხასიათის მთელი რიგი ღონისძიებანი. იანვარში მოეწყო მექანიზატორთა რაიონული თათბირი, ხოლო თებერვალში— მესიმინდეთა თათბირი. თათბირების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვები რაიონის ყველა მექანიზატორისა და მესიმინდისადმი. ამ მიმართვებს გამოეხმაურნენ კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. მათ თავიანთი მხრივ იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი — განახორციელონ კომპლექსური მექანიზაცია სიმინდის ნათესების მნიშვნელოვან ფართობებზე და მოიყვანონ უხვი მოსავალი.

სოფელ თორტიზის კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს 1961 წელს საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანონ 70 ცენტნერი სიმინდის მარცვალი, ხოლო 100 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე—100 ცენტნერი სიმინდი. ამ კოლმეურნეობის ბრიგადამ, რომელსაც დ. ახალაკი ხელმძღვანელობს, ვალდებულება იკისრა 25 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 110 ცენტნერი სიმინდი. ა. მერაბიშვილისა და შ. იოსებიძის ბრიგადებმა გადაწყვიტეს თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 100 ცენტნერი სიმინდი, ხოლო გ. კვინიკაძის რგოლმა — 130 ცენტნერი.

სოფელ ახალუბნის კოლმეურნეობის წევრებმა გადაწყვიტეს წელს 100 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ სულ ცოტა 80 ცენტნერი მარცვალი და 400 ცენტნერი მწვანე მასა, ხოლო მერგოლურებმა ბ. ქუჯოშვილმა და ვ. ხომასურიძემ ვალდებულება იკისრეს მათი რგოლებისათვის მიჩენილ თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 120 ცენტნერი სიმინდი.

გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს კარაღეთის, ქვეშის, ქვახვრელის, ზედუღეთის, ნიქოზისა და სხვა სოფლების კოლმეურნეებმა.

რაიონის კოლმეურნეობებში შეიქმნა სიმინდის უხვი მოსავლის 208 ბრიგადა და 422 რგოლი. მათ მეთაურობენ კომუნისტები, სპეციალისტები და გამოცდილი მესიმინდეები. მესიმინდეთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად სიმინდის მთელ უყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შექმნილია სიმინდის აგროტექნიკის შესწავლელი მოკლეკადიანი სკოლები, რომელსაც სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ხელმძღვანელობენ. 15 ვარტამდე კოლმეურნეობების თავმჯდომარეებისა და აქტივისათვის ეწყობა სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანის მოწინავე გამოცდილების შესწავლა.

სიმინდის სათესად გამოყოფილი ფართობები უველა კოლმეურნეობაში მიჩენილი აქვთ ბრიგადებს, რგოლებსა და ცალკეულ კოლმეურნეებს. გამოყოფილ ნაკვეთებზე წარმოებს თესვისწინა სამუშაოები — შეაქვთ სასუქები, წესრიგზე მოჰყავთ სარწყავი ქსელი და სხვ. სიმინდის წარმოების გადიდების ამოცანა დიდად დამოკიდებულია თესლის ხარისხზე. 4 მარტისათვის კოლმეურნეობებში საგაზაფხულო თესვისათვის გამოყოფილი იყო 4.616 ცენტნერი თესლი, აქედან შემოწმებულია 4.442 ცენტნერი, ამ თესლიდან კონდიციურია 2.480 ცენტნერი და არაკონდიციურია ტენიანობის მიხედვით — 1.943 ცენტნერი. მიღებულია ღონისძიებანი იმისათვის, რომ სათესლე მასალა კონდიციურ გახდეს უახლოეს ვადებში.

სიმინდის კომპლექსური მექანიზაცია რომ უზრუნველვყოთ, საჭიროა თესვა ვაწარმოოთ კვადრატულ - ბუდობრივი წესით. ამისათვის რაიონში სულ 26 სათესი მანქანაა. ეს ცოტაა. საჭიროა დამატებით შემოვიტანოთ თუნდაც 8-10 მანქანა. უნდა ითქვას ისიც, რომ სათეს მანქანებს არა აქვთ სათადარიგო ნაწილები და დაზიანების შემთხვევაში მწყობრიდან გამოდიან. მზრალად ნახნავის თესვისწინა დამუშავება უნდა წარმოებდეს კულტივატორების დახმარებით, მაგრამ რაიონში არსებული 80 კულტივატორიდან 53 კულტივატორი შეკეთებას საჭიროებს. მთელი რიგი სათადარიგო ნაწილების უქონლობა აფერხებს მათს რემონტს. კარგი იქნება, რომ

კომუნისტი
მე-4 გვერდი, სამშაბათი,
14 მარტი, 1961 წ.

პარტიის გორის რაიკომის პირველი მდივნის ამხ. ი. ჯოლიაშვილის მოხსენება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შედეგების განხილვა გორის რაიონში დაუკავშირდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მასალებს და იმ მითითებებს, რომლებიც ამ თათბირზე მოგვცა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა. მშრომელებმა ერთსულოვნად მოიწონეს ეს მითითებანი. მათ სამართლიანად მოიხსენიეს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში არსებული ნაკლოვანებათა კრიტიკა, იკისრეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ზრდისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1953 წ.) პლენუმის შემდეგ რაიონმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებაში. განსაკუთრებით საგულისხმოა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდა. 1953 წელს თვითეულ ძროხაზე მიღებული იქნა 1.220 კილოგრამი რძე, 1960 წელს კი — 1.503 კილოგრამი რძე. ამ ხნის განმავლობაში რძის საერთო წარმოება 1,9-ჯერ გადიდდა. სახელმწიფოს მიეყიდა ხორცი 1.269 ტონა, რძე — 3.126 ტონა, კვერცხი — 1.918 ათასი ცალი და მატყლი — 106 ცენტნერი. გადაჭარბებით შესრულდა ცხოველთა სულადობის ზრდის დავალებანი.

თუ 1953 წელს კოლმეურნეობათა შემოსავალი მეცხოველეობისაგან შეადგენდა 10.696.000 ათეთს, გასულ წელს ამ შემოსავალმა უკვე 27.259.000 მანეთი შეადგინა (ძველი ფულით). მეცხველეობა გახდა ბევრი კოლმეურნეობის შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი წყარო, რენტაბელური დარგი მათს ეკონომიკაში.

კოლმეურნეობათა გამგეობები, პარტიული ორგანიზაციები ახორციელებენ ღონისძიებებს იმისათვის, რომ საკოლმეურნეო ფერმები განამტკიცონ გამოცდილი მეცხოველეებით. ახლა ჩვენ გვყავს ბევრი მოწინავე მწველავი, მეფრინველე, მეცხვარე, მეღორე, მეხბოროე, რომლებიც შეიძლება მისაბაძ მუშაკებად — შუქურებად მივიჩნიოთ.

კარგად მუშაობენ სარძეო-სასაქონლო ფერმების მუშაკები. 1953 წელთან შედარებით მათ ოთხჯერ გაადიდეს წველადობა, საშუალოდ ერთ ძროხაზე 1960 წელს 1500 კილოგრამამდე აიყვანეს იგი. ძიმედნარე წელს ეს ციფრი კიდევ 100 კილოგრამით გადიდდება.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეცხვარეობის განვითარებას. გასულ წელს რაიონში დაკვეთოცა ბევრი ცხვარი — მთელი სულადობის 9,5 პროცენტი. კოლმეურნეობებმა ყოველი ღონე იხმარეს, რომ ეს აღარ განმეორდეს, უკეთ მოეწყო გამოზამთრება, მეცხვარეობაში ინერგება ბევრი მოწინავე, პროგრესული ღონისძიება. ფართოდ ვრცელდება ჩვენი საუკეთესო მწყემსების — გ. ჩალაბაშვილისა და გ. მჭედლიშვილის გამოცდილება — ცხვრის ადრეული დაკლების. გასულ წელს ადრეული დაკლების გზით მივიღეთ 18 ათასი ბატკანი — 106 ბატკანი ყოველ 100 ნერბეზე. წელს ცხვრის ადრეული დაკლება ინერგება კოლმეურნეობათა მეცხვარეობის თითქმის ყველა ფერმაში.

ხორცის წარმოების გადიდების მიზნით სერიოზული ყურადღება ექცევა მეღორეობისა და მეფრინველეობის განვითარებას. მიმდინარე წელს გავასუქებთ 13 ათას ღორს — ერთიორად მეტს, ვიდრე გასულ წელს, და 150 ათას ფრთა ფრინველს — შარშანდელზე 40 ათასი ფრთით ნეტს.

უნდა ვაღიაროთ, რომ თუმცა გვაქვს გარკვეული წარმატებანი, მაგრამ ყოველ 100 ჰექტარ მიწაზე ხორცისა და რძის წარმოება ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. ამის ერთ-ერთი მიზეზია ძროხის შედარებით მცირე ხვედრითი წონა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საერთო ჯოგში— 29 პროცენტი. წლის დამლევისათვის ჩვენ გვეყოლება 5 ათასი ძროხა — 800 სულით მეტი, ვიდრე წლის დაწყებს. შემდგომ წლებში ძროხის რაოდენობა ყოველწლიურად გაიზრდება 400-500 სულით. სერიოზულ ყურადღებას დაუთმობთ ავრეთვე სხვა სახეობის ცხოველთა სულადობის ზრდას, რადგან უთმისოდ შეუძლებელია შევასრულოთ ხორცისა და სხვა პროდუქტების წარმოების ზრდის პროგრამა.

ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ სამართლიანად მოგვითითეს იმის გამო, რომ ფილიანდაგის შედარებით რაიონმა შეამცირა ხორცისა და რძის წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა. ამჟამად, ვახორციელებთ ღონისძიებებს ჩამორჩენის

ავამოქმედოთ, უფრო სრულად გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობის რეზერვები

(დასასრული)

თბილისის ერთ-ერთმა საწარმომ დაიწყოს მარტივი, მაგრამ ამავე დროს დიდმნიშვნელოვანი დეტალების გამოშვება. სიმინდის ხარისხოვანი თესვა დიდად დამოკიდებულია დაკალიბრებულ თესლზე. მაგრამ რაიონში სრულებით არ არის სრულყოფილი ტიპის დასაკალიბრებელი მანქანები.

პარტიის გორის რაიკომის პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად და მას შემდეგ, რაც გამოვლინდა რეზერვები და შესაძლებლობანი, რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს 1961 წლისათვის დაუსახა ამოცანა — გაამეცნონ ათასი ჰექტარი ახალი ხეხილის ბაღები და 170 ჰექტარი ვენახები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახლა ატმის კულტურის განვითარებას, რომელსაც უკანასკნელ წლებში მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა. ჩვენ გადავწყვიტეთ რადაც უნდა დაგვჯდეს აღვადგინოთ გორული ატმის წინანდელი სახელი.

მსხმოიარე ბაღების თვითეულ ჰექტარზე 60 ცენტნერი ხილი რომ მივიღოთ, სახელმწიფოს მივყიდეთ 26.000 ტონა კარგი ხარისხის გორულ ხილს.

ჰექტარზე 45 ცენტნერი ყურძნის მიღება შესაძლებლობას მოგვცემს სახელმწიფოს მივყიდოთ 4.000 ტონა ყურძენი.

რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა შემდგომ გადიდდეს მეცხოველეობის პროდუქტების — ხორცის, რძის, კვერცხისა და სხვა პროდუქტების წარმოება. ითვალისწინებს რა ამას, პარტიის რაიკომის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება გადიდდეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა, რაც შესაძლებლობას მოგვცემს გავადიდოთ ხორცის საერთო წარმოება 18.300 ცენტნერამდე, აქედან ღორის ხორცისა — 4.800 ცენტნერამდე, რძის საერთო წარმოება — 73.864 ცენტნერამდე, მატყლისა — 454 ცენტნერამდე, კვერცხისა — 1.597.330 ცალამდე. თვითეულ ძროხაზე მიღებულ იქნება 1.255 კილოგრამი რძე, აქედან კოლმეურნეობებში — 1.220 კილოგრამი. თვითეულ კვერცხმდებელ ქათამზე მიღებულ იქნება 70 ცალი კვერცხი, ხოლო თვითეულ ცხვარზე — 2,3 კილოგრამი მატყლი. ჩვენ გადავწყვიტეთ 1961 წელს გავასუქოთ და სახელმწიფოს ჩავაბაროთ 6.000 ღორი, თვითეული სულ ცოტა 80 კილოგრამი წონისა.

შარშან დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებები განვახორციელეთ მოზარდეულის, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ღორის შესყიდვისა და კონტრაქტაციის დარგში. ამ გზით მარტო კოლმეურნეობებმა შეიძინეს და დააკონტრაქტეს 3.284 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, მათ შორის 432 ძროხა. წელს ვფიქრობთ შევისყიდოთ და დავაკონტრაქტოთ 3.000 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, აქედან 140 ძროხა. ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე გათვალისწინებულია გაეწარმოოთ 30 ცენტნერი ხორცი, 110 ცენტნერი რძე, 82 კილოგრამი მატყლი. ყოველ 100 ჰექტარ მიწაზე გვეყოლება 37,4 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, აქედან 10 ძროხა. სულ 1961 წელს სახელმწიფოს მივყიდით 1.781 ტონა ხორცს, 3.980 ტონა რძეს, 52 ტონა მატყლს, 2.150.000 ცალ კვერცხს და 18 ტონა აბრეშუმის პარკს.

გორის რაიონის ეშრომელები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის უახლოეს ერთგულნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებებითა და ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ბრძნული მითითებებით აღფრთოვანებულნი, ძაღლოსნის დაუშრეტელად იბრძოლებენ, რათა პირნათლად შეასრულონ პარტიის მიერ დასახული ამოცანები. ისინი სკკპ XXII ყრილობას შეხვდებიან სახელოვანი შრომითი გამარჯვებებით, ახალი წარმატებებით აღნიშნავენ დიდ ეროვნულ დღესასწაულს — საბჭოთა საქართველოს მე-40 წლისთავს. (ტაში).

პარტიის მარნეულის რაიკომის პირველი მდივნის ამხ. ნ. ჯიბლაძის მოხსენება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებსა და ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვაში ამ პლენუმზე ღრმად და ყოველმხრივ განზოგადებულია სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის ბრძოლის გამოცდილება, ნაჩვენებია მისი დაუშრეტელი წესაძლებლობანი, ზუსტად განსაზღვრულია მარცვლეულის, ხორცის, რძისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების გზები.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თაობირზე, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მკაფიო სიტყვამ ამ თაობირზე გამოიწვია მშრომელთა უდიდესი აღფრთოვანება, მისწრაფება, რომ წარმატებით განახორციელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

მარნეულის რაიონის მკაფიო მშრომელმა, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, პლენუმის გადაწყვეტილებანი მიღუს სასოფლო-სამეურნეო წარმოების კვლევის აღმავლობისათვის თვითანი შეშაობის საბრძოლო პროგრამად. მათ გადაწყვეტეს ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1953 წ.) პლენუმის შემდეგ რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ გარკვეული მუშაობა გასწია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდების უზრუნველსაყოფად.

1960 წელს სახელმწიფოს მიეყიდა მეტი, ვიდრე 1953 წელს: ხორცი—1,6-ჯერ, რძე—2,5-ჯერ, კვერცხი—1,5-ჯერ, თამბაქო—650 ტონით, ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეული — 2.500 ტონით მეტი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე გაკრიტიკებულ იქნა სოფლის მეურნეობაში არსებული ნაკლოვანებანი; ეს კრიტიკა მთლიანად და სავსებით შეეხება ჩვენს რაიონსაც. ჯერ კიდევ დაბალია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა. დიდია პირუტყვის სიკვდილიანობა, შემცირდა ცხვრის სულადობა. ჯერ კიდევ დიდია ცხოველთა ბეწვწირაობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შემდეგ, პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით პარტიის რაიონწულმა კომიტეტმა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აქტივთან ერთად გადასინჯა სამინდოს საფუძველი ფარობები და გაადიდა ისინი 9.000 ჰექტარამდე, აქედან 7.000 ჰექტარამდე კოლმეურნეობებში, რაც 2.000 ჰექტარით აღემატება 1960 წლის ფართობებს. მთელი ეს ნათესი დამუშავებულ იქნება სამარცვლედ.

მარცვლეულის საერთო მოსავლის გადიდებისათვის გამოყოფილია 4.000 უხვმოსავლიანი ჰექტარი, სადაც მოვიყვანთ 60 ცენტნერ მარცვალს ჰექტარზე, ხოლო დანარჩენ ფართობზე—30 ცენტნერს ჰექტარზე.

სიმინდის სასილოსე მასის წარმოებისათვის ნაწვერალზე დაითესება დაახლოებით 3.000 ჰექტარი.

თესვის გეგმები მიცემული აქვს თვითეულ კოლმეურნეობას თესლის საჭირო რაოდენობის ჩვენებით.

მარცვლეულის დიდი მოსავლის მისაღებად და თვითღირებულების შესამცირებლად რაიონულ თათბირზე მექანიზატორებმა ვალდებულება იკისრეს კომბაინულ მექანიზაციით დაამუშაონ 2.500 ჰექტარი სიმინდის ნათესი და ყოველ ჰექტარზე მიიღონ 60 ცენტნერი მარცვალი და 500 ცენტნერი სასილოსე მასა.

რაიონის მესიმინდეთა თათბირზე სოციალისტური შრომის გმირმა ო. ბაირამოვმა და ხ. გიულმამედოვმა (სოფელ ყაჩაღნის კოლმეურნეობა „კომუნიზმი"), ა. კალანდაროვმა, ი. აბასოვმა (კალინინის სახელობის კოლმეურნეობა) ვალდებულება იკისრეს ჰექტარზე მოიყვანონ 100 ცენტნერი სიმინდი მარცვლად.

პარტიის რაიკომის პლენუმზე, სადაც განხილულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა საკითხი, გაშუქდა მიზეზები, რომლებმაც გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ჩამორჩენა რაიონში, ამასთანავე აღინიშნა რაიონის დიდი რეზერვები და შესაძლებლობანი. პლენუმმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და მარცვლეულის, ხორცის, რძის, კვერცხისა და სხვა პროდუქტების დამზადების 1961 წლის სახელმწიფო გეგმების შესრულების უზრუნველსაყოფად.

რაიონის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მოეწყო ღია პარტიული კრებები და კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა საერთო კრებები. ამ კრებებზე დასახულია ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს პარტიისა და მთავრობის დავალებათა შესრულებას. კრებების შემდეგ თვითეულ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, ბრიგადაში გამოაყო ნაკვეთები, რომლებზეც გათვალისწინებულია მოიყვანონ 60 ცენტნერი და მეტი სიმინდი ჰექტარზე. რგოლებში ნათესების ინდივიდუალური დამუშავებისათვის ცალკეული ნაკვეთები მიჩენილი აქვს თვითეულ კოლმეურნეს.

სიმინდისა და სხვა კულტურებისათვის მზრალად მოხნეულია 7.580 ჰექტარი, ადრეული საგაზაფხულო ხვნა დამთავრებულია 2.100 ჰექტარზე, მოსახნავი დარჩა კიდევ 3.225 ჰექტარი.

რაიონში ყველა ტრაქტორი არ არის შეკეთებული, რადგან არა გვაქვს მთელი რიგი სათადარიგო ნაწილები. კოლმეურნეობათა კვალრატულ-ბუდობრივად სათესი ყველა მანქანა შეკეთებულია, გამზადებულია სამუშაოდ.

პარტიის რაიონულმა კომიტეტმა მოაწყო იმის შემოწმება, თუ რამდენად მომარაგებული აქვთ კოლმეურნეობებს თესლი და როგორია სათესლე ფონდი. გამოირკვა, რომ მომარაგებული აქვთ 3.114 ცენტნერი სიმინდის თესლი. მაგრამ სოფელ ალგეთის ორჯონაკიძის სახელობის, სოფელ არახლოს კიროვის სახელობისა და სოფელ კირიხლოს ტელმანის სახელობის კოლმეურნეობებში აკლიათ სიმინდის თესლი, ამასთან ალგეთისა და არახლოს აღნიშნულ კოლმეურნეობებში გაანაგეს სათესლე ფონდი, რისთვისაც კოლმეურნეობათა თავმჯდომარენი მოხსნილი არიან სამუშაოდან. ამჟამად რაიონის ყველა კოლმეურნეობა უზრუნველყოფილია საჭირო თესლით. შემოწმებულია და სათესლე კონდიციას აკმაყოფილებს 2.340 ცენტნერი თესლი.

სიმინდის თესლის დაკალიბრებისათვის სპეციალური მანქანები ჩვენს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს არა აქვთ, მაგრამ დაკალიბრება წარმოებს მარცვალსაწმენდი მანქანებით. რაიონის კოლმეურნეობები ძირითადად უზრუნველყოფილი არიან ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების, საკვები ჯიხლის თესლით.

ბოსტნეულისა და ვენახებისათვის რაიონის კოლმეურნეობებს გამოეყოთ 1.310 ტონა მინერალური სასუქები, აქედან 960 ტონა ფოსფორიტანი და 250 ტონა აზოტოვანი. დამატებით სიმინდისათვის გამოყოფილია 710 ტონა მინერალური სასუქები. სიმინდის ნათესებში შეტანილია 5.000 ტონა ორგანული სასუქები, სულ კი შეტანილი იქნება 17.000 ტონა.

შვიდწლედის მესამე წელს რაიონის მეურნეობებმა სახელმწიფოს უნდა მიჰყიდონ ერთი მილიონი ფუთი მარცვლეული, 3.750 ტონა თამბაქო, 2.500 ტონა ხეხილეული ეთერზეთოვანი კულტურებისა, 6.600 ტონა ბოსტნეულ-ბაღჩეული, 3.350 ტონა ყურძენი და სხვ. მთელი პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა მიმართულია იმისაკენ, რომ უზრუნველვყოთ ამ დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო ამოცანის განხორციელება.

ახლა კოლმეურნეობები ამთავრებენ თამბაქოს, ეთერზეთოვანი და ბოსტნეული კულტურების თესვას თბილ კვალსათბურებში. მიმდინარეობს ღია კვალსათბურებში თესვისათვის მზადება, მრავალწლიანი ნარგავების მოვლა, ბაღების მწკრივთა შორის ნიადაგის დამუშავება, ხეხილისა და ვაზის სხვლა.

წელს უნდა გაშენდეს 62 ჰექტარი ბაღები და 82 ჰექტარი ვენახები. დაბა შაუმიანის კოლმეურნეობაში მიმდინარეობს სარგავი მასალის მყნობა და ნამყენი შემოდგომაზე გადაირგვება, დანარჩენ კოლმეურნეობებში ვაზის სავაზისთვისო გაშენება გათვალისწინებულია რქაწითლით საკუთარ ძირებზე.

დამაკმაყოფილებლად ვერ ვიმუშავეთ შარშან მეცხოველეობაში. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმა შესრულებულია 94 პროცენტით, აქედან ძროხისა 79 პროცენტით, ცხვრისა 70 პროცენტით, მათ შორის ნერბისა — 68 პროცენტით. დაიხოცა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი — 684 სული, ანუ მთელი სულადობის 3,2 პროცენტი, ცხვარი და თხა — 7.732 სული, ანუ 11,2 პროცენტი, ღორი — 2.653 სული, ანუ 19 პროცენტი.

ერთ ძროხაზე მიღებულია 1.214 კილოგრამი რძე — 18 კილოგრამით მეტი, ვიდრე 1959 წელს.

სადგამი სულადობის მნიშვნელოვანი ბერწიანობის შედეგად 1960 წელს 100 ძროხაზე მიღებულია 68 ხბო, გეგმა კი ითვალისწინებდა 90 ხბოს, 100 ნერბზე მიღებულია 63 ბატკანი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 95-ისა. და ერთ დედაღორზე — 9 გოჭი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12-ისა.

პარტიის რაიკომის ბიუროს განიხილა მოხსენებათა გამო დაიწყო კამათი. ორატორები ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, თუ რა დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია რესპუბლიკის მწრომელთა ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირებზე. ორატორები ერთმანეთს უზიარებდნენ მუშაობის გამოცდილებას, ლაპარაკობდნენ იმ ღონისძიებებზე, რომლებიც მათ აქვთ დასახული და რომელთა ბიზანია პარტიისა და მთავრობის დავალებათა შესრულება სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობის დარგში.

— ჩვენმა დიდმა სამშობლომ, — თქვა საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობა „საქართველოს" თავმჯდომარემ ამხ. გ. დუჩიძემ, — შვიდწლედის მეორე წელი დაამთავრა შესანიშნავი მოგებით მიღწევებით სახალხო მეურნეობის განვითარებაში. საბჭოთა ადამიანებს გულწრფელად ახარებთ სოფლის მშრომელთა წარმატებები. მშობლიური კომუნისტური პარტიის ღვინიური ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა შეიჯამა პროდუქტების სიუხვისათვის სოფლის მეურნეობის მშრომელთა ბრძოლის შედეგები, პრინციპულად და მწვავედ გამოავლინა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში არსებული ნაკლოვანებანი, დასახა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა ეკურნეობების წარმოების შემდგომი განვითარების საბრძოლო პროგრამა.

კოლმეურნეობა „საქართველოს" მშრომელებს ღირსეული წვლილი შეაქვთ ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის. წლითიწლობით იზრდება ჩვენი წარმატებანი. შარშან კოლმეურნეობამ ჩვენი წარმატებანი. შარშან კოლმეურნეობამ აწარმოვა მეტი: ხორცი — 470 ცენტნერი, რძე — 714 ცენტნერი და კვერცხი — 115 ათასი ცალი, ვიდრე 1959 წელს. დიდი გადაჭარბებით გავანაღდეთ სახელმწიფოსთვის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის დაავალებანი.

ამხ. დუჩიძემ დაასახელა კოლმეურნეობის საუკეთესო ადამიანები, რომლებიც გვიჩვენებენ შვიდწლედის დავალებათა განხორციელებისათვის ბრძოლის მაგალითებს. ბეცხვარეობის ფერმის ბრიგადამ, რომელსაც გ. გრატიაშვილე ხელმძღვანელობს, ყოველ 100 ნერბზე მიღო და შეინარჩუნა 117 ბატკანი, ხოლო ქ. ჯინჭარაძის ბრიგადამ — 138 ბატკანი. ეს ღონისძიება ჩვენი შუქრები გაიარა. კოლმეურნეობის გამგეობა, პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად უწევენ პროპაგანდას მოწინავეთა გამოცდილების, ცდილობენ მიაღწიონ იქას, რომ ეს გამოცდილება ყველას კუთვნილება გახდეს.

საკოლმეურნეო წარმოებაში ფართოდ ინერგება კომპლექსური მექანიზაცია. მეორე წელია მზესუმზირას ნათესებს მანქანებით ვამუშავებთ, ისე რომ არ ვეყენებთ ხელს შრომას. ამის შედეგად ამაღლდა მოსავლიანობა, ბევრად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის წინ კოლმეურნეობა „საქართველოს" ესტაფეტა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი. ნიკიტა სერგის-ძე საათნახევრის განმავლობაში ესაუბრა სპეციალისტებსა და კოლმეურნეებს, ბევრი ძვირფასი რჩევა-დარიგება მოგვცა. კერძოდ, მან გვირჩია მკვეთრად გავადიდოთ სიმინდის მარცვლის წარმოება, რადგანაც უამისოდ შეუძლებელია მივაღწიოთ მეცხოველეობის აღვლებას.

ვითვალისწინებთ რა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის ბრძნულ რჩევა-დარიგებას, ჩვენ ავიღეთ კურსი მკვეთრად გავადიდოთ სიმინდის წარმოება. მიმდინარე წელს სიმინდი დაითესება 1.000 ჰექტარ საუკეთესო მიწებზე, აქედან 400 ჰექტარზე სამარცვლედ, სიმინდისათვის გამოყოფილი ფართობები უკვე დამუშავებულია. ნიადაგში შეტანილია რამდენიმე ათასი ტონა ნაკელი. ახლა ვამთავრებთ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტს, თესლის დაკალიბრებას. სამი კვირის შემდეგ დავიწყებთ თესვას.

ჩვენი კოლმეურნეობის წევრებმა ვალდებულება იკისრეს მიმდინარე წელს სახელმწიფოს მიჰყიდონ 25 ათასი ცენტნერი მარცვალი, 2.300 ცენტნერი ხორცი, 6.000 ცენტნერი რძე, 350 ცენტნერი მატყლი, ნახევარი მილიონი ცალი კვერცხი, 3.000 ცენტნერი მზესუმზირა, 2.500 ცენტნერი ბოსტნეული და ბაღჩეული, 3.000 ცენტნერი ყურძენი — მნიშვნელოვნად უფრო მეტი, ვიდრე 1960 წელს. ასეთი სიტყვა მივეცით სამაღლო სტუმარს — ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს, და პირნათლად შევასრულებთ ამ სიტყვას.

თეთრი წყაროს რაიონის სოფელ კოდის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. **ი. დალაქიშვილმა** კონკრეტული მაგალითებით ცხადყო, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ძვირფას საკვებ და სასურსათო კულტურას — სიმინდს მეცხოველეობისა და მთელი სახალხოგადოებრივი მეურნეობის განვითარებისათვის. კოლმეურნეობა მრავალი წლის მანძილზე რაიონში ერთ-ერთი უკანასკნელი ჩამორჩენილი იყო. სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1953 წ.) პლენუმის შემდეგ კოდელმა კოლმეურნეებმა დიდ ფართობებზე დაიწყეს სიმინდის თესვა. სიმინდის ნათესებმა შარშან 700 ჰექტარი შეადგინა. მთელი ეს ფართობი კომპლექსური მექანიზაციის საშუალებით იქნა დამუშავებული. ყოველ ჰექტარ ურწყავ მიწაზე მივიღეთ 25 ცენტნერი მარცვალი და 550 ცენტნერი მწვანე მასა.

ახლა საზოგადოებრივი პირუტყვის მთელი სულადობა უზრუნველყოფილია მტკიცე საკვები ბაზით. მიმდინარე ზამთრისათვის თვითეულ ძროხაზე დავამზადეთ 40 ტონა სილოსი. ხუთა-ექვსი წლის განმავლობაში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება რამდენჯერმე გაიზარდა. 1958 წელს სახელმწიფოს მივყიდეთ 400 ცენტნერი ხორცი და 880 ცენტნერი რძე, 1960 წელს — შესაბამისად 1.200 და 2.000 ცენტნერი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა, ამბობს ორატორი, სოფლის მშრომელებს ამოცანად დაუსახა იბრძოლონ მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის. სიმინდის უხვი მოსავლისათვის ლაშქრობაში ჩვენი მემინდვრეებიც ჩაებნენ. მათ გადაწყვიტეს მიმდინარე წელს 750 ჰექტარი სიმინდი დათესონ და საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანონ სულ ცოტა 40 ცენტნერი მარცვალი. 100 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მივიღებთ 70 ცენტნერ მარცვალს. ჩვენ ვიკისრეთ აგრეთვე გადიდებული ვალდებულებანი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დარგში. კერძოდ, გადავწყვიტეთ 160 პროცენტით შევასრულოთ სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმა და 140 პროცენტით — რძის მიყიდვისა.

1958 წელს კოლმეურნეობის შემოსავალი 1 მილიონ 300 ათასი მანეთი იყო; 1960 წელს იგი 3 მილიონ 600 ათას მანეთამდე გაიზარდა (ძველი ფულით). საზოგადოებრივი მეურნეობის აღმავლობასთან ერთად უმჯობესდება კოლმეურნეთა კეთილდღეობა, უფრო შეძლებული ხდება მათი ცხოვრება. თუ 1958 წელს შრომადღის ღირებულება 4 მანეთს შეადგენდა, ახლა 25 მანეთია. მომდინარე წლიდან კოლმეურნეობა გადადის შრომის ფულად ანაზღაურებაზე, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს მშრომელთა კეთილდღეობას.

უნდა ვაღიაროთ, რომ ჯერ კიდევ ნაკლებად ვზრუნავთ საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის, იმისათვის, რომ შრომა კოლმეურნეობაში კოლმეურნეთა შემოსავლის ძირითადი წყარო იყოს. უკანასკნელ დრომდე ჩვენს კოლმეურნეებს პირად საკუთრებაში დიდძალი ცხვარი ჰყავდათ. ზოგიერთ კოლმეურნეს შინ ჰყავდა ცხვარი, ზოგიერთს კი — კოლმეურნეობის ფარაში. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ორივე შემთხვევაში ზარალდებოდა კოლმეურნეობა: ცხვრები აფუჭებდნენ ნათესებს, ხარაგებს, აცდენდნენ ადამიანებს საკოლმეურნეო შრომაში მონაწილეობისაგან. სწორად და დროულად მიგვაჩნია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის შესაბამისად ახლა კოლმეურნეთა ცხვარი შესანახად გადაეცემა საკოლმეურნეო ფერმას, ამასთან კოლმეურნეები მოვალენი არიან კოლმეურნეობასთან ერთად გადაიხადონ მთელი ხარჯები, რაც დაკავშირებულია ცხვრის შენახვასთან.

რაიონის კოლმეურნეობებმა დიდ ფართობებზე სიმინდისა და თავთავიანი კულტურების უხვი მოსავლის მოყვანის გამოცდილება შეიძინეს. მიმდინარე წელს სამინდოდ ნახტომისებურად გადიდდება ჩვენი 11 თვეში შეკასრულეთ. ხორცის მნიშვნელოვანი გაზრდა, რომ ჩვენ ჩვენ მიერ მიღწეულ შედეგებზე საკმარისი არ არის. რეზერვები დიდი გვაქვს. შეგვიძლია მნიშვნელოვნად გავადიდოთ რძისა და ხორცის წარმოება, თუ გავადიდებთ საკვების, უწინარეს ყოვლისა სიმინდის წარმოებას. საკვები ბაზის განმტკიცება მოხდება მუშების ამოძირკვისა და ამოშრობის ხმით. ჩვენ ვთხოვეთ წუალთა მეურნეობის სამინისტროს დაეჩქაროს სამუშაოდ ბიჭვინთის დაბლობის ამოსაშრობად.

ბოსტნეულის თვითღირებულების შესამცირებლად ვაშენებთ სავაზაფხულო სათბურებს. ერთი ასეთი სათბურის მშენებლობა 6.500 მანეთი გვიჯდება ახალი ფულით — ექვსჯერ იაფი, ვიდრე კაპიტალური ტიპის სათბურისა. ამ სათბურებში შეეძლება ვაწარმოოთ მექანიზებული საქმიანობა, გამოვიყენოთ ტრაქტორი „რიონი". მაგრამ მისი ბიუჯეტი ძნელია. არ გვჭირდება ისეთი დეფიციტური მასალებიც, როგორიც არის მილები, რკინა, ცემენტი და სხვ., საჭიროა მხოლოდ მინა, რომლის შოვნა ადვილად ძალიან ძნელია.

სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ამხ. **ვ. კუჭავას.** სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შემდეგ ჯოგის სულადობა ერთიორად და მეტად, ხოლო პროდუქტიულობა კიდევ უფრო მეტად გადიდდა. 1953 წელს ერთი ძროხის წველადობამ შეადგინა 290 კილოგრამი, ხოლო გასულ წელს—1.600 კილოგრამი.

კოლმეურნეობის მწველავებმა პატრიოტული თაოსნობა გამოიჩინეს, მათ გადაწყვიტეს ყოველდღიურად მიიღონ მეტი რძე, ვიდრე შარშანდელი წლის იმავე დღეს. მოწინავე კოლმეურნეებმა ნინო ვარდიძემ, თამარ ფოჩიაშვილმა მათთვის მიჩენილ ძროხებზე ორი თვის განმავლობაში 150-200 ლიტრით მეტი რძე მიიღეს, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. კოლმეურნეობამ გადაწყვიტა წელს ყოველ 100 ჰექტარ სავარგულებზე აწარმოოს 65 ცენტნერი ხორცი და 340 ცენტნერი რძე.

ამხ. კაკაბაძემ ალნიშნა პლენუმის მონაწილეებს გაუზიარა ბოსტნეული კულტურების უხვი მოსავლის მოყვანის გამოცდილება. კოლმეურნეობაში თვითეულ ჰექტარზე მოჰყავთ 250-280, ხოლო ცალკეულ ბაკეთებზე 420 ცენტნერამდე „რეკორდული" ჯიშის ხახვის, 800-1.000 ცენტნერი კომბოსტო. კოლმეურნე სელექციონერები საინტერესო მუშაობას ეწევიან უხვმოსავლიანი და შესანახად გამძლე ჯიშების ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების გამოსაყვანად.

პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ.**

პლენუმმა ერთხმად მიიღო დადგენილება, რომელშიც დასახულია ღონისძიებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველსაყოფად.

პლენუმის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტისადმი.

(საქრონიკო).

კომუნისტი
მე-5 აგვისტო, სამშაბათი,
14 მარტი, 1961 წ.

ჟურნალისტთა სიტყვა —ჩვენს დიად ამოცანებს

აზიერკავკასიის რესპუბლიკების პრესის, რადიოს და ტელევიზიის მუშაკთა თათბირი

ბაქო, 13 მარტი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის დიდ დარბაზში მუშაობა დაიწყო აზიერკავკასიის პრესის, რადიოს და ტელევიზიის მუშაკთა თათბირმა, რომელიც მოწვეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით. დამსწრეთა შორის არიან რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო, რაიონული და დარგობრივი გაზეთების, ჟურნალების, რადიოს, ტელევიზიის, დეპეშათა სააგენტოების, გამომცემლობების მუშაკები, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მოღვაწეები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები.

თათბირის მონაწილეები განიხილავენ პრესის, რადიოს და ტელევიზიის მუშაკთა ამოცანებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, იდეოლოგიური მუშაობის შემდგომ აღორძინებაში.

თათბირი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოკავშირე რესპუბლიკების, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილემ ა. ვ. რომანოვმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შედეგებისა და პრესის, რადიოს და ტელევიზიის მუშაკთა ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. ახუნდოვმა.

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით და დავალებით ამხ. ახუნდოვი გულთბილად მიესალმა თათბირის მონაწილეებს და მათი სახით ამიერკავკასიის ყველა ჟურნალისტს და უსურვა მათ ახალი შემოქმედებითი წარმატებანი პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

შემდეგ თათბირმა მოისმინა მოხსენებანი: გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორის მოადგილის ი. ი. ხოშტარიასი თემაზე „პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობის გამოცდილების გაშუქება გაზეთში“, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის ი. ი. ნაზაროვისა „წარმოების ნოვატორების — კომუნისტური შრომის კოლექტივების, დამკვრელების გამოცდილების გაშუქება და გავრცელება“, გაზეთ „სოვეტაკან ითალიანის“ რედაქტორის ქ. ს. ვართანიანისა—„მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საკითხების გაშუქება გაზეთში“, გაზეთ „სოვეტსკაია ბაზაროის“ რედაქტორის გ. ს. სემიონოვისა—„პარტიული ცხოვრების საკითხთა გაშუქება გაზეთში“, გაზეთ „ვოშკის“ რედაქტორის ქ. მ. ნიკოლაევისა—„ორასარედაქციო ავტორთა აქტივთან რედაქციის მუშაობის ფორმები და მეთოდები“. მოხსენებათა გამო დაიწყო კამათი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობენ აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ა. ისკენდეროვი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ვ. ე. სემიჩასტნი და ს. ა. მირზოევი, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჩ. ნ. სადიხოვი, პარტიის ბაქოს საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ტ. ა. ალახვერდიევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოკავშირე რესპუბლიკათა პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების, გამომცემლობათა და ჟურნალების სექტორის გამგე ქ. მ. ბოგოლუბოვი, ჟურნალ „სოვეტსკაია პეჩატის“ რედაქტორი ვ. ს. პოდკურკოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ბ. ა. გოგიჩაიშვილი, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე გ. ა. აირიანი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე შ. ქ. ყურბანოვი.

თათბირი რამდენიმე დღეს გაგრძელდება.

ტერორისტები დააპატიმრეს

დამასკო, 12 მარტი. (საქდესი). სირიის უშიშროების ორგანოებმა გუშინ დააპატიმრეს სამი ბედუინი ტერორისტი იმ ტომიდან, რომელიც ცხოვრობს სირია-იორდანიის საზღვარზე. დაპატიმრებულებმა აღიარეს, რომ ისინი შემოგზავნა იორდანიის დაზვერვამ, რათა მოეკლათ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ნასერი, როცა იგი ვიზიტად იქნებოდა ეს-სუვეიდში ამ წლის მარტში. ამ ამოცანის განსახორციელებლად დივერსანტები შეიარაღებული იყვნენ ხელყუმბარებითა და დინამიტით.

გაზეთი „ალ-ვაჰდა“ მოწინავე სტატიაში აღნიშნავს, რომ იორდანიის ხელისუფალნი ქვლავინდებურად განაგრძობენ ძირგამოთხრილ საქმიანობას არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ არაბთა ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების ბაღდადის თათბირზე მიღებული გადაწყვეტილების მიუხედავად, რომ შეწყდეს ურთიერთ მტრული გამოხდომები არაბთა ქვეყნებს შორის.

შეიქმნა ირანის ახალი მთავრობა

თეირანი, 13 მარტი. (საქდესი). პრემიერ-მინისტრმა შარიფ იმამიმ გუშინ თავისი ახალი მთავრობის წევრები წარუდგინა მეჯლისს. შარიფ იმამიმ მეჯლისის სხდომაზე გამოაქვეყნა თავისი მთავრობის პროგრამა საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში.

საგარეო პოლიტიკის დარგში, განაცხადა იმამიმ, მთავრობა დაიცავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს და განავითარებს მეგობრულ ურთიერთობას ყველა ქვეყანასთან.

შარიფ იმამი შეეხო საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობის და განაცხადა, რომ ირანს სურს საბჭოთა კავშირთან ჰქონდეს „კეთილმეზობლური მეგობრული ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად ედება ურთიერთპატივისცემის პრინციპები“. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ „ერთ ხანს გაუგებრობისა და გაუგებრობის შედეგად ირანისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა ცუდი იყო“ და თქვა, რომ „საბედნიეროდ, ახლა არის ამ ურთიერთობის გაუმჯობესების ნიშნები და დამამტკიცებელი საბუთები, როგორც მოგახსენეთ, გადაწყდა, რომ ჩვენ მეთაურობით მოსკოვს წავა კეთილი ნების პრომაგანდის დელეგაცია და იმედი მაქვს, რომ ამ მოგზაურობის შედეგად გაუგებრობა და გაუგებრობის ნდობით აღსავსე მეგობრულ ვითარებას დაუთმობს ადგილს“.

„მთავრობა, — ხაზი გაუსვა პრემიერ-მინისტრმა, პატივისცემით ეკიდება ირანის ყველა სახელშეკრულებო ვალდებულებას და ერთგული იქნება თავდაცვითი ბლოკებისა, რომლებიც დაიდო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლის საფუძველზე“.

„ჩვენ, — განაცხადა შარიფ იმამიმ, — ძალიან მახლობელი და მეგობრული ურთიერთობა გვაქვს ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ირანელ ხალხს არ დავიწყნია ამერიკის მორალური და მატერიალური დახმარება და მხურვალედ იწონებს აქციას შეერთებული შტატების მთავრობის პოლიტიკას, რომლის მიზანია მშვიდობის დაცვა და თავისუფლების უზრუნველყოფა“.

ფართოვდება ლათინური ამერიკის მშრომელთა ბრძოლა თავიანთი უფლებებისათვის. ხელისუფალნი ურჩთა წინააღმდეგ სასტიკ რეპრესიებს მიმართავენ. სურათზე: პოლიციელები მხეცურად უწყრდებიან გაფიცულებს პერუში.

გრძელდება ხრიკები კუბის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი. საქდესის კორესპონდენტი გ. ფრიმენი იუწყება: სულ უფრო აშკარა ფორმებს იღებს ხრიკები შეერთებულ შტატებში, რომელთა მიზანია კუბის რევოლუციური მთავრობის დამხობა და რეაქციული რეჟიმის აღდგენა კუბაში.

ამერიკის პრესა პირდაპირ აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე მიმდინარეობს კუბელ კონტრრევოლუციონერთა ჯგუფების სწრაფი სწავლება. ამ ჯგუფებს ფინანსური დახმარება ეძლევათ ამერიკის მონოპოლისტებისაგან, რომელნიც წინათ უდიდეს მოგებას იღებდნენ თავიანთი კაპიტალდაბანდებიდან კუბაში, რომელიც 1 მილიარდ დოლარზე მეტს შეადგენდა. გაზეთ „ჩიკაგო დეილი ნიუსის“ კორესპონდენტი მაიამიში — ანტიკუბური საქმიანობის უდიდეს ცენტრში — იუწყება, რომ კონტრრევოლუციური ორგანიზაციების ლიდერები აშკარად ლაპარაკობენ ამ მხრივ დაჭერაზე.

პრესაში ხშირად გამოთქვამენ აზრს, რომ კონტრრევოლუციურ შეთქმულებს ეხმარებიან ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლები. გასულ კვირაში გაზეთ „უოლდ სტრიტ ჯორნელის“ კორესპონდენტი კრაარი წერდა: „საიდუმლო როდია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უკვე ამარაგებენ იარაღითა და მასალით კასტროს მოწინააღმდეგე ძალებს, რომლებიც იმყოფებიან ესკამბრაის მთებში (ცენტრალურ კუბაში), და სამხედრო საქმეს ასწავლიან კონტრრევოლუციონერებს ფლორიდასა და გვატემალაში“.

რამდენიმე კვირის წინათ ჟურნალი „ნეიშენი“ და სხვა ბეჭდვითი გამოცემები იუწყებოდნენ, რომ ცენტრალურმა დაზვერვის სამმართველომ, რომელსაც ალენ დალესი მეთაურობს, გვატემალაში დიდი აეროდრომი შექმნა, რომელზეც კუბელი კონტრრევოლუციონერები სამხედრო წვრთნას გადიან.

ბიულეტენი „კიპლინგერ ვაშინგტონ ლეტერი“ ამერიკელი საქმიანი წრეების ორგანო, წინასწარმეტყველებს, რომ კუბელი კონტრრევოლუციონერები მალე შეიჭრებიან კუბაში გვატემალიდან და რომ შეჰკრა დაემთხვევა „აჯანყებებს კუბის შიგნით“.

გაზეთი „ამერიკენ მეტალ მარკეტის“ კორესპონდენტი მაიამიდან გაგზავნილ ცნობაში ურჩევს მეწარმეებს, რომლებმაც თავის დროზე კაპიტალი დააბანდეს კუბაში, „სერიოზულად იფიქრონ იმაზე, რომ შესაძლებელია ერთ მშვენიერ დღეს წელს დაბრუნდნენ ამ კუნძულის რესპუბლიკაში“. იუწყებიან, რომ სამხედრო მზადებასთან ერთად დაგეგმილია უახლოეს ხანში შექმნან კუბელ კონტრრევოლუციონერთა მთავრობა, ალბათ იმისათვის, რომ შეერთებულ შტატებს შეეძლოთ მოახდინონ თავიანთი კონტრრევოლუციური ძალების „ლეგალიზაცია“, დამხობისათვისო. ბელატორობა კიტინგმა, (რესპუბლიკელი, ნიუ-იორკის შტატი) უკვე მოუწოდა შეერთებულ შტატებს ცნონ კუბის ყოველი კონტრრევოლუციური „მთავრობა ემიგრაციაში“, რომელიც შეიქმნება.

ფაქტები მოწმობენ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს, როგორც ჩანს, განზრახული აქვთ ეს საქმიანობა შეავსონ ახალი ეკონომიური სანქციებით კუბის წინააღმდეგ. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ამას წინათ გამოაცხადა, რომ განიხილავს ღონისძიებებს, რათა გააფართოოს ემბარგო კუბის იმ საქონელზე, რომელთა შეტანა შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ ნებადართულია.

გარდა ამისა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ლათინური ამერიკის ქვეყნებში გაგზავნეს თავიანთი წარმომადგენლები იმ მიზნით, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნებმა მხარი დაუჭირონ ანტიკუბურ პოლიტიკას ვაშინგტონში. შეერთებულმა შტატებმა გვატემალის მთავრობის მეშვეობით მოითხოვეს მოიწვიონ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი კუბის წინააღმდეგ შეთანხმებული მოქმედების საკითხის განსახილველად.

მაგრამ ვაშინგტონის ეს ცდები სერიოზულ წინააღმდეგობას აწყდება. კერძოდ ბრაზილია, არგენტინა და ჩილი მეტად გულცივად შეხვდნენ ამ წინადადებას. ამის შედეგად გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი კენუორტი 7 მარტს იძულებული გახდა მწუხარებით ეღიარებინა, რომ „არ არის იმის რამე პერსპექტივა, რომ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციამ კოლექტიური აქცია მოაწყოს კუბის წინააღმდეგ“.

მიუხედავად ამისა ანტიკუბური ხრიკების გაძლიერებამ ყველა დარგში — პოლიტიკურ, ეკონომიურ და სამხედრო დარგებში — არ შეიძლება იმითი სერიოზული შეშფოთება არ გამოიწვიოს, ვინც დაინტერესებულია მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებით კარიბის ზღვის რაიონში.

კუბა სჯის მოღალატეებს

ჰავანა, 12 მარტი. (საქდესი). ჰავანის ტრიბუნალმა სახელმწიფო დანაშაულისათვის სიკვდილი მიუსაჯა კუბის რევოლუციური არმიის ორ ყოფილ მაიორს — უილიამ მორგანსა და ხესუს კარერს.

ამერიკელი უილიამ მორგანი, როგორც კვლევაძიებამ ცხადყო, ცდილობდა შეთქმულება მოეწყო რევოლუციური ხელისუფლების წინააღმდეგ კუბაში. ისარგებლა რა თავისი მდგომარეობით, მან შეთქმულებაში მონაწილეობა მიაღებინა პირთა მცირე ჯგუფს, უწინარეს ყოვლისა თავისი პირადი დაცვის წევრებს. შეთქმულნი დაკავშირებული იყვნენ ამერიკის კუბის საელჩოსთან და კონტრრევოლუციურ ბანდებთან ესკამბრაის მთებში. სამსახურის მანქანით უილიამ მორგანი და მისი თანამზრახველები იარაღს აწვდიდნენ ამ ბანდებს.

მაიორ ხესუს კარერა ავანტიურისტ მორგანის უახლოესი თანაშემწე იყო კონტრრევოლუციურ საქმიანობაში.

სააპელაციო სასამართლომ დამტკიცა ორივე განაჩენი და ეს განაჩენები სისრულეში მოიყვანეს თერთმეტ მარტს ღამით.

შეთქმულების შვიდ სხვა მონაწილეს მიესაჯა ოცდაათი წლის პატიმრობა, ერთს — თხუთმეტი წლისა.

ფრანკისტული რეჟიმი ეყრდნობა ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ გერმანიის დახმარებას, რომელსაც ისინი უწევენ იმის სანაცვლოდ, რომ სამხედრო ბაზებს აწყობენ ესპანეთში.



პირსისხლიანი დიქტატორი და მისი დასაყრდენი.
ნახ. ჯ. პერსონისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

კომუნისტის კალამი

ორი მიხეილის „დუელი“

კარგად ცნობილია, რომ ჭადრაკის ისტორიაში მხოლოდ ორჯერ მოახერხა მატჩში დამარცხებულმა რევანშის აღება: 1937 წელს ა. ალიოხინმა მოუგო ეივს, ხოლო 1958 წელს ბოტვინიკმა დაიბრუნა ჩემპიონის წოდება ვ. სმისლოვთან მატჩ-რევანშში. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ყოველთვის რიდი შემდგარა მატჩ-რევანშები. ჩვეულებრივ ეს დამოკიდებული იყო მსოფლიოს ჩემპიონის განწყობილებაზე ან კეთილ ნებაზე, ანდა მატჩის პირობები განმტკიცებული იყო ხელშეკრულებით.

1948 წლით დაწყებული, მსოფლიოს პირველობის გათამაშების წესებში ნათქვამია, რომ მსოფლიოს ჩემპიონს დამარცხების შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს რევანში. ასე მიაჩნდა და მიაჩნია მ. ბოტვინიკს. ასე ფიქრობს დღეს მ. ტალიც.

მიხეილ ბოტვინიკი დინჯი, ობიექტური ადამიანია, მშვიდობის მომხრეა. როგორც მოჭადრაკე, იგი ორჯერ შევიდა ისტორიაში: 1948 წელს იგი გახდა მსოფლიოს მეექვსე ჩემპიონი და ახლა, 1961 წელს, იგი პირველი მოჭადრაკეა, რომელიც მეორე მატჩ-რევანშს თამაშობს.

როცა 1957 წელს ვ. სმისლოვმა დაამარცხა ბოტვინიკი, მატჩ-რევანშში გამოწვევას საკმაოდ დააგვიანდა. ვ. სმისლოვს ისიც კი ეგონა, ბოტვინიკი არ დაიწყებს „რევანშის თხოვნასო“. როგორც ცნობილია, შარშან ტალთან მატჩში ბოტვინიკი ძლიერ დამარცხდა: 8,5:12,5. ბოტვინიკი სერიოზულად დაუფიქრდა მდგომარეობას. კიდევაც ჰქონდა საფიქრებელი. რა იყო ასეთი შედეგის მიზეზი? იქნებ თვითონ დაბერდა? ან ტალი ძალიან ძლიერია? იქნებ სჯობდეს არ გამოიწვიოს ტალი მეორედ შეხვედრისათვის და გადავიდეს საჭადრაკო პენსიაზე? ბოლოს და ბოლოს ქვეყნად კარგად შეიძლება ცხოვრება ისეც, თუ მსოფლიოს ჩემპიონის წოდება არა გაქვს. როგორც ჩანს, ასეთი ფიქრები, ასეთი მერყეობა ჰქონდა მ. ბოტვინიკს. მ. ტალი ამბობდა: „დარწმუნებული ვარ, გამომიწვევს. მაგრამ როდის?“. დიახ, ტალი მართალი აღმოჩნდა. აგვისტოში ბოტვინიკმა გადაწყვიტა გამოწვევა ახალგაზრდა ტალი!

დადგა საკითხი: რომელ ქალაქში მოეწყოს მატჩ-რევანში? ჭადრაკის მსოფლიო ფედერაციის წესების მიხედვით, მსოფლიოს ჩემპიონს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ მატჩი გათამაშდეს მის სამშობლოში. ქალაქზე იქ ზუსტად არაფერია ნათქვამი. მ. ტალმა, ბუნებრივია, გამოთქვა სურვილი, რომ მატჩ-რევანშის ნახევარი მაინც გათამაშდეს რიგაში. ეს იყო მთელი რიგისა და ლატვიის მგზნებარე სურვილი. მაგრამ არაფერი არ გამოვიდა. ბოტვინიკმა უარი თქვა და განაცხადა, ჭადრაკის მსოფლიო ფედერაციის წესების თანახმად მატჩ-რევანში პირველი მატჩის ასლი უნდა იყოსო. (გასაგებია, რომ შედეგის ასლი არა აქვს მხედველობაში ბოტვინიკს).

„ჯობა“ ბოტვინიკმა, თამაში გაიმართება მოსკოვში. მატჩი იწყება ზუსტად 15 მარტს, როგორც შარშან. მ. ტალის წინადადება იყო თვითეულ მონაწილეს ჰყავდეს ორი სეკუნდანტი. ბოტვინიკი არ დაეთანხმა. ტალს, როგორც შარშან, ჰყავს ა. კობლენცი. ბოტვინიკს ჯერ არ გაუცხადებია, ვინ იქნება მისი სეკუნდანტი. ეს პატარა უთანხმოებანი წარმოადგენენ ეპიზოდებს პატარა „ცივი ომიდან“ ორ მიხეილს შორის. ნამდვილი ბრძოლა საჭადრაკო დაფასთან გაჩაღდება.

რადგან ბოტვინიკმა სამ თვეს იფიქრა და ბოლოს გადაწყვიტა გამოწვევა ტალი მატჩში, თვით ეს ფაქტი მოწმობს, რომ ბოტვინიკმა „რაღაც იცის“, მიაჩნია, რომ ახალ ბრძოლაში უშანსებოდ როდი ჩაებმება. როგორც ცნობილია, ბოტვინიკს აგვისტოში 50 წელი უსრულდება. ეს მატჩი ბოტვინიკისათვის შეიძლება შეიმჩნეოდეს ანგარიშად ჩაითვალოს. დოქტორი ბოტვინიკი შეეცდება რადაც უნდა დაუჯდეს ფრიადზე ჩააბაროს ეს მეტად ძნელი გამოცდა, რომ თავისი იუბილესათვის მოიშოროს პატარა, მაგრამ უსიამოვნო თავსართი „ექს“.

ჯერ კიდევ კარგად მახსოვს 1960 წლის 7 მაისის დღე. მიხეილ ტალმა ძლივს გაარღვია მოსკოველ გულშემატკივართა „რიგები“, რომ შესულიყო სასტუმრო „მოსკოვში“. დაღლილი, განაწამები, მაგრამ თავისი გამარჯვებით ბედნიერი, იგი რესტორანში დიდი პატივისცემით მოეკიდა დამარცხებულს. წარმოთქმულ სადღეგრძელოში ტალმა თქვა: „ვსვამ საბჭოთა მოჭადრაკეების ლიდერის სადღეგრძელოს. ვუსურვებ მიხეილ ბოტვინიკს ყოველივე კარგს, გარდა ერთისა: არ მომიგოს მატჩ-რევანშში!“.

მსოფლიოს ჩემპიონი მ. ტალი არ ეკუთვნის იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც გულს იმშვიდებენ მიღწეულით. მან მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ტურნირში.

მაგრამ ბოტვინიკი როგორი მოგვეჩვენება? აი ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ადვილი როდია. დემორალიზებული? რასაკვირველია, არა, ბოტვინიკს ამჯერად ერთი დიდი „უპირატესობა“ აქვს: იგი არაფერს კარგავს! ასეთ მდგომარეობაში თამაში მოჭადრაკისათვის უფრო ადვილია. მზადების შესახებ ოფიციალურად ცნობილია ძალიან ცოტა, თითქმის არაფერი. იგი მეცადინეობდა ს. ფურმანთან მოსკოვის მახლობლად საშინაო კაბინეტების მყუდროებაში. მაგრამ ვინაიდან მოჭადრაკეებისათვის ცნობილია ბოტვინიკის მომზადების სისტემა, ეჭვი არ არის, რომ ყოველივე წვრილმანი გულმოდგინედ ექნება მოფიქრებული.

ვფიქრობთ, რომ გადამწყვეტი იქნება არა დებიუტი, არა თამაშის სიახლენი, არა ტაქტიკა და სტრატეგია, არამედ საჭადრაკო საათი! ჩვენ მოუთმენლად ველით იმას, რომ ვნახოთ ბოტვინიკი და დავრწმუნდეთ, შეძლო თუ არა მან ათი თვის განმავლობაში „ცაიტნოტის ხნეულობის“ სანერგედ გადაქცევა. ტურნირის განრიგის მიხედვით მ. ტალი გათამაშებას ვ. ხმისლოვის მწვრთნელობით ჩატარებულ ტურნირში და ნაკლებად ეშაბედებოდა მისთვის. ასეთ უხეშ ფსიქოლოგიურ შეცდომას ტალი არ დაუშვებს, იგი მთელი სერიოზულობით ეკიდება ახალ შეხვედრას თავის მეტოქესთან.

ორი თვის განმავლობაში ჩვენ შესაძლებლობა გვექნება ვუამბოთ მკითხველებს ბრძოლის მსვლელობაზე, იმაზე, რაც მოხდება სცენაზე და კულისებში. დღეს თავი დავანებოთ პროგნოზებს. გვინდა მარტო ვთქვათ, რომ ტყუილად ფიქრობს ზოგიერთი ექსპერტი, თითქოს თამაში იქნება მხოლოდ „ერთ კარში“, თითქოს ბოტვინიკმა უნდა წააგოს თუნდაც იმიტომ, რომ იგი 25 წლით უფროსია. ტალისთვისაც მომავალი მატჩი „საეტრადო კონცერტი“ როდია, თუნდაც მატჩი „ესტრადის თეატრში“ გაიმართოს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ორივე გროსმაისტერი უკეთეს თამაშს გვიჩვენებს, ვიდრე შარშან. ბრძოლა იქნება! ამის თავდებია საბჭოთა საჭადრაკო სკოლის ორი შესანიშნავი წარმომადგენლის მებრძოლი ხასიათი.

მ. ტალი.

მ. ბოტვინიკი.

* * *

სალო ფლორი.

ტელეგრაფი გვატყობინებს

შიმშილი სამხრეთ კორეაში

ფხენიანი, 13 მარტი. (საქდესი). დაახლოებით მილიონ გლეხს პროვინცია სამხრეთ ჩოლაში, რომელიც სამხრეთ კორეის ბეღლად ითვლება, სულ არ გააჩნია სურსათი, იუწყება ფხენიანის რადიო.

მასობრივი დაპატიმრებანი ანგოლაში

კარიზი, 12 მარტი. (საქდესი). პორტუგალიის ხელისუფლები ანგოლაში მასობრივად ატყმევებენ მათ, ვინც მონაწილეობა მიიღო ამასწინანდელ გამოსვლებში ლუანდაში, რომლებიც კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ გაიმართა.

როგორც საფრანგეთის რადიოს კორესპონდენტი ბრაზავილიდან იუწყება, პორტუგალიის კოლონია ანგოლაში ამ უკანასკნელ დღეებში საერთოდ 800 კაცი დაუპატიმრეს, მათ შორის 200 ევროპელი.

რადგან ანგოლის მთავარ ქალაქ ლუანდის საპყრობილეს ვერ დაეტია ამდენი დაპატიმრებული, კოლონიურმა ხელისუფლებამ „საპყრობილის ბანაკი“ შექმნა ქალაქის ერთ-ერთ უბანში.

ბრძოლები ლაოსში

ვიენტიანი, 13 მარტი. (საქდესი). ლაოსის მთავრობის ჯარები კვლავ აწარმოებენ წარმატებითს ოპერაციებს მეამბოხეთა წინააღმდეგ. როგორც რადიო „ლაოსის ხმა“ იუწყება, მოკავშირეთა ჯარების ქვეგანაყოფები თავს დაესხნენ მოწინააღმდეგის სატვირთო ბანქანების კოლონას ვიენტიანის ჩრდილოეთით. მოწინააღმდეგის მოუკლეს და დაუჭრეს ათი კაცი. სიენგკუანგის სამხრეთით მოკავშირეთა ჯარებმა გაათავისუფლეს დასახლებული პუნქტი მიონგ ნგამი.

მეამბოხეთა უკანასკნელება დამარცხებებმა ძლიერ შეარყიეს მათი მორალური სულისკვეთება. ფილიპინების რადიო იუწყება, რომ ვიენტიანში ნამდვილი პანიკაა.

ჰამარშელდის წარმომადგენელთა ხელის შეწყობით

ნიუ-იორკი, 13 მარტი. (საქდესი). შეიარაღებული ბანდები — 1.200 ჯარისკაცი — მობუტუს მეთაურობით შეტევას აწარმოებენ ქალაქ იკედაზე, რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთ პროვინციის — კონგოს კანონიერი მთავრობის დასაყრდენის საზღვრის მახლობლად.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, ეს შეტევა დაიწყო 6 მარტს ქალაქ ბოენდედან (ეკვატორული პროვინცია). მობუტუელთა პირველი შეიარაღებული შეტაკება კანონიერი მთავრობის ჯარებთან მოხდა მეორე დღეს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობა ფაქტიურად ხელს უწყობს მობუტუელთა მოქმედებას, რომლებმაც სამოქალაქო ომი დაიწყეს კონგოში. ამავე დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სარდლობის წარმომადგენლები ამტკიცებენ, მობუტუელთა რაზმების შეტევის შესახებ „არაფერი არ ვიციითო“.

ნატოს ჯარების ნაწილები ნორვეგიაში

ოსლო, 13 მარტი. (საქდესი). ნორვეგიის თავდაცვის სამინისტრომ გამოაქვეყნა, რომ ნატოს ჯარების ნაწილები ჩამოვლენ ნორვეგიაში ნორვეგიის ჯარების ნაწილებთან ერთად სამხედრო წვრთნის ჩასატარებლად.

ოთხი ამერიკელი ჯაშუში

ვარშავა, 13 მარტი. (საქდესი). პოლონეთის სამხედრო ტრიბუნალმა ოთხი ამერიკელი ჯაშუში მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ვადით 10 წლიდან 15 წლამდე. ისინი დაიჭირეს ჯაშუნობის ჩადენის დროს.

ოთხი ამერიკელი ჯაშუში

ბერლინი, 13 მარტი. (საქდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ გამოაქვეყნა, რომ ოთხი ამერიკელი ჯაშუში დააპატიმრეს. ისინი ჯაშუნობის ჩადენის დროს დაიჭირეს.

ორეული წარსულის რელიქვიები

არქეოლოგიური გათხრები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში

11 მარტს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა დიდი არქეოლოგიური გამოფენა, რომელიც მიძღვნილია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისადმი.

გამოფენის გახსნაზე მოვიდნენ რესპუბლიკის თვალსაჩინო მეცნიერები, საზოგადო მოღვაწენი, ინტელიგენცია, მოსწავლე ახალგაზრდობა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. წერეთელმა გამოფენის გახსნისას თქვა:

— ამ გამოფენაზე წარმოდგენილი მდიდარი არქეოლოგიური მასალა გვაძლევს საქართველოს მატერიალური ცხოვრების მეტნაკლებად სრულ სურათს უძველესი დროიდან მეხუთე საუკუნემდე. გამოფენა შედეგია ქართველ არქეოლოგთა ოცდახუთი წლის დაძაბული მუშაობისა, რომლებიც დაუცხრომლად აღორძინებენ მატერიალური კულტურის სულ ახალ-ახალ ძეგლებს.

გამოფენის ექსპოზიციას უკავია სახელმწიფო მუზეუმის ოთხი დიდი დარბაზი. პირველ ორ დარბაზში წარმოდგენილია საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლები უძველესი დროიდან გვიანი ბრინჯაოს ეპოქამდე.

მრავალრიცხოვანი დამთვალიერებლები ინტერესით ეცნობიან ექსპონატებს. ისინი შეიტყობენ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ადამიანის ჩამოყალიბების პროცესი. გარეჯის უდაბნოს მესამეულ ნალექებში ნამარხ ფლორასთან ერთად აღმოჩენილია ადამიანის მსგავსი მაიმუნის (უდაბნოპითეკის) ნაშთები. უკვე მეოთხეული პერიოდის დამდეგიდან — დაახლოებით მილიონი წლის წინათ — ჩამოყალიბებას იწყებს უძველესი ადამიანი. ამას მოწმობს არქეოლოგთა მიერ აღმოჩენილი კაჟის იარაღები. უფრო გვიან გაჩნდა ძვლისა და კაჟის ისრების ბუნიკები.

შემდეგ ჩნდება ახალი სახეობის იარაღები, რომლებიც დამუშავებულია ხეხვის მეშვეობით.

IV ათასწლეულიდან უკვე იწყება ბრონზის ხანის ბრინჯაოს ცხოვრება, მიწათმოქმედება და მეურნეობის საფუძველი ხდება. მოგვიანებით ჩნდება მეტალურგია, სპილენძისა და ბრინჯაოს წარმოება.

უკანასკნელი ორი დარბაზი ეთმობა ექსპონატებს, რომლებიც ასახავენ ეპოქას გვიანი ბრინჯაოს ხანიდან IV საუკუნემდე. ყურადღებას იპყრობს მინის ნაწარმი — ქართველმა მინის მბერავებმა მაღწიეს გასაოცარ ოსტატობას მინის პურჭლის წარმოებაში.

„...საქართველოს არქეოლოგიურ აღმოჩენათა დიდი რუკა... იგი აჭრელებულია სხვადასხვა ფერის შენიშვნებით, რაც აღნუსხავს აღმოჩენებს, რომლებიც სხვადასხვა ეპოქას განეკუთვნებიან. თბილისი, მცხეთა, ურბნისი, ვაშერი, ფიქვნარი (ცობულეთი), ქუთაისი, მელაანი — თითქმის ვერ ნახავთ ისეთ ადგილს, სადაც არ იყოს აღმოჩენილი სიძველის რაიმე ძეგლი.

პირველ დღეს გამოფენა ათასობით თბილისელმა დაათვალიერა. (საქდესი).

ჩემპიონატი ჭადრაკში

საქართველოს პირველობის ფინალური ტურნირი ჭადრაკში დასასრულს უახლოვდება, გასულ კვირაღდეს გაიმართა მორიგი მე-16 ტური.

გროსმაისტერმა რ. ხოლმოვმა გ. კაკლატიშვილთან პარტიაში მოიგო პაიკი და მალე პარტიაც. ბ. გურგენიძეს შეადარებით უკეთესი პოზიცია ჰქონდა ლატერთან ე. გუფელდთან პარტიაში, მაგრამ ყაიმს დასჯერდა. ასეთივე შედეგი იქნა ფიქსირებული ა. ბესლაევისა და ლ. შტეინის პარტიაში, ორმხრივი იერიშებით აღინიშნა გ. ეგნაშვილი — დ. ჯანაშვილის პარტია, რომელიც დ. ჯანაშვილმა გამარჯვებით დამთავრა. თ. ლომაიძემ დაამარცხა ი. ჩიქოვანი, ე. მიქელაძემ — ა. ბრეიტმანი, რ. შეინცვიტ — ა. ბოჭიკაშვილის პარტია ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

გუშინ თბილისის რუსთველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა რესპუბლიკური საჭადრაკო ჩემპიონატის მე-17 ტური.

თ. ლომაიძემ მოუგო გ. კალატოზიშვილს, ჯ. ბერაძემ — ა. ბლაგიძეს, თ. გიორგაძე - ი. ჩიქოვანის, ა. ბოჭიკოვ - გ. ეგნაშვილის,